ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან ხუთშაბათი, 18 დეკემბერი 1997 №164 (529) ფასი 40 თეთრი

## ორი მიხეილი შახტიორისთვის?

### აშვეთია შესაძლოა ფოცხვერიას თანაკლუბელი გახდეს

ქუთაისის „ტორპედოს" განთავისუფლებულ მწვრთნელ სერგო კუტივაძის თქმით, ვლადიკავკაზის „ალანიიდან" დაბრუნებული მიხეილ აშვეთია მისით დაინტერესებულ „დინამოში" თამაშს არ აპირებს და მიშა ფოცხვერიას „შახტიორში" სურს გადასვლა. ეს თავად აშვეთიას უთქვამს კუტივაძისთვის. მანამდე ქუთათურთა პრეზიდენტი ბესო ჯიქია დაპირებული იყო, რომ მომავალი სეზონისთვის თავდამსხმელს თბილისელებს ათხოვებდა, მაგრამ, როგორც ჩანს, დონეცკელებმა უფრო მომხიბლავი წინადადებით მიმართეს და „ტორპედოს" პრეზიდენტმაც მათი ვარიანტი ამჯობინა. მით უფრო, რომ აშვეთიასაც არ სურს საქართველოში თამაში.

ამ სამი კვირის წინ „შახტიორმა" თავისი საუკეთესო თავდამსხმელი, უკრაინის ნაკრების წევრი იგორ ატელკინი იტალიის სერია A-ს „ლეჩეს" მიჰყიდა. მართალია, დონეცკში კიდევ ერთი ჩვენებური თავდამსხმელი მიხეილ ფოცხვერიაც თამაშობს, მაგრამ გუნდის მწვრთნელი ვალერი იარემჩენკო მის სრულფასოვან პარტნიორსაც ეძებდა.

როგორც კი ეს ამბავი შევიტყვეთ, მაშინვე უკრაინული კლუბის ოფისში დავრეკეთ. სამწუხაროდ, არც მთავარი მწვრთნელი, არც „შახტიორის" პრეზიდენტი ადგილზე არ დაგვიხვდნენ, მაგრამ, მოარული ხმების დაზუსტება დონეცკელთა ვიცე-პრეზიდენტმა რავილ ტატულინმა ითავა.



**— გავიგეთ, „შახტიორს" მიხეილ აშვეთიას გადაბირება სურსო. მართალია?**

— დიახ, ასეა. დიდი სურვილი გვაქვს, ამ ფეხბურთელმა ჩვენთან ითამაშოს. ვალერი იარემჩენკოს აშვეთიას რამდენიმე თამაში უნახავს და მასზე საკმაოდ კარგი წარმოდგენა შეექმნა. კონკრეტულად მეტს ვერაფერს გეტყვით. დღე-დღეზე „ტორპედოს" წარმომადგენლებს ველით, ჩამოვლენ და დაწვრილებით მოვილაპარაკებთ.

**— რამდენის გადახდას აპირებთ?**

— ფულზე არც გვქონია საუბარი. ყოველ შემთხვევაში, არაფერი მსმენია.

**— ფოცხვერიაზეც გკითხავთ. ისევ „შახტიორში" დარჩება?**

— ეს მწვრთნელის გადასაწყვეტია. თუ ტრანსფერზე წარადგენს, მისი საქმეა. ჯერჯერობით კი იარემჩენკოს მსგავსი განცხადება არ გაუკეთებია.

ცოტა უცნაურად მოგვეჩვენა ტატულინის ნაამბობი, რადგანაც მიხოს თბილისში, „დინამოში" ველოდით, მოულოდნელად კი „შახტიორზე" ალაპარაკდნენ. საქმეში უკეთ გასარკვევად დონეცკელის დინამოელ კოლეგას, **რომან შოთაძეს** მივმართეთ: — „შახტიორის" დაინტერესების თაობაზე ბევრი არაფერი ვიცი. „ტორპედოს" უფროსობასთან თითქმის მოლაპარაკებულნი ვიყავით, რომ აშვეთია „დინამოში" გადმოსულიყო. თუმცა, ყველაფრის მიუხედავად, ვიმედოვნებ, აშვეთია მაინც „დინამოში" ითამაშებს.

ასე არ ფიქრობს „ტორპედოს" პრეზიდენტი ბესიკ ჯიქია, რომელმაც გვითხრა: „შახტიორის" გარდა აშვეთიათი დაინტერესებას „როტორიც" გამოთქვამს და ახლახან მიხოს თაობაზე სულაც „ფეიენოორდიდან" დაგვიკავშირდნენო.

## სალაგაძე სკონტოს დაუბრუნდა

როგორც შევიტყვეთ, დორტმუნდის „ბორუსიაში" გასასინჯად მყოფი ლევან სილაგაძე ლატვიაში გაეშურა. კარგა ხნის უვარჯიშებელი ლევანი, რა თქმა უნდა, საუკეთესო ფორმაში ვერ იქნებოდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, „ბორუსიას" სურდა მისი შეძენა, რომ მერე ასევე ბუნდესლიგის „ჰანზაში" გაენათხოვრებინა. სილაგაძის ბედით დაინტერესებულ რეზო ძოძუაშვილს და „სკონტოს" ამაზე უარი უთქვამთ. ამჟამად ქართველი ისევ რიგაშია და „სკონტოსთან" ერთად ვარჯიშობს.

## დავიხსნათ გოგიჩა!

### აელ — გოგიჩაიშვილის საქმე ისევ ამოტივტივდა

კახა გოგიჩაიშვილი და კვიპროსის აელ-ი ამ ზაფხულს ცუდ ფეხზე შეიყარნენ. კვიპროსელებმა ჩვენებური რაღაც მაქინაციებით გააცურეს და კონტრაქტზე ხელმოწერა დასტყუეს. ყოველ შემთხვევაში, ასეთი გახლდათ ჩვენში გავრცელებული ვერსია. „დინამომ" გოგიჩას კვიპროსში გაშვება არ ინდომა, რის აელ-ი, კახა ჯერ ჩვენთან უნდა დარჩეს, მერე კი უფრო ძლიერ ევროპულ გუნდში გავუჩარხავთ საქმესო. კახაც დარჩა ევროთასესა და ჩემპიონატში „დინამოს" ღირსებას იცავდა.

კვიპროსელებმა, აქაოდა პირი რატომ გვიტეხეთო, ცა და დედამიწა შეძრეს. იმდენი ქნეს, საქმე ფიფას ყურამდეც მივიდა. ფიფა კი, მოგეხსენებათ, სატრანსფერო პირობების შეუსრულებლობისთვის მკაცრად სჯის. გოგიჩაიშვილსაც 21 341 დოლარის გადახდა დააკისრეს — პროფესიონალ ფეხბურთელს წესების მიხედვით მსგავსი საქციელი არ ეკადრება, ერთთან კონტრაქტი გააფორმო და მეორე გუნდში თამაშო, სად გაგონილაო.

ფიფამ ამის შემდეგ ფეხბურთელი და მისი კლუბი, თუ ფეხბურთის ფედერაცია კიდევ ორჯერ გააფრთხილა, ფული დროზე გადაიხადეთო. გოგიჩას მხსნელად „დინამოს" პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია მოევლინა. კლუბის თავკაცმა ფეხბურთელის დავალიანება დაფარა. ჟორდანიამ ეს სახალხოდაც განაცხადა — სხვადასხვა სანქციებთან ერთად „დინამომ" კახა გოგიჩაიშვილის კვიპროსული ვალი გაისტუმრაო.

თითქოს ყველაფერი მიწყნარდა. აელსაც კუთვნილი უნდა მიეღო, მაგრამ, ყველას გასაკვირად, გუშინ ფედერაციაში ფიფადან კიდევ ერთი ფაქსი მივიდა. თურმე ისევ კვიპროსელები ჩივიან — ქართველები ფულს არ იძლევიანო. ახლა ფიფა სერიოზულად გვაფრთხილებს, ფული ნოემბერში უნდა გადახდილიყო, ორჯერაც შეგახსენეთ ეს ამბავი, მაგრამ რატომღაც არაფერი შეცვლილა და აწი საქმე ფიფას სადისციპლინო კომიტეტს გადაეცემაო.

ფიფას სადისციპლინო კომიტეტი გაისად შეიკრიბება. იქ საქმე სერიოზული სანქციების გარეშე არ დამთავრდება.

ბუნებრივია, კახა გოგიჩაიშვილის ბედმა შეგვაშფოთა. გოგიჩასთან გასაუბრება გვსურდა და ამისთვის ოჯახში დავურეკეთ, მაგრამ იქიდან თავაზიანად გვიპასუხეს, კახა ქალაქში არ გახლავთ და სავარაუდოდ ათ დღეში დაბრუნდებაო. რაღა დაგვრჩენოდა, ისევ „დინამოს" ხელმძღვანელობას მივმართეთ. კლუბის ვიცე-პრეზიდენტმა *რომან შოთაძემ* ეს გვითხრა:

— აღნიშნული თანხა, შეთანხმების მიხედვით, ნოემბერში უნდა გადახდილიყო. ჩვენ არ დაგვირღვევია წესი და ფული დროზე გადავიხადეთ. კიდევ რა პრეტენზია აქვს აელ-ს, გაუგებარია.

თუ ყველაფერი ასეა, მაშინ რას გადაეკიდნენ ჩვენებურს კვიპროსელები? ერთი ნათელია, ფული არსად დაიკარგება, ოღონდ მოსაძიებელია, სად, როგორმ და რატომ წავიდა. დროზე უნდა საქმეს დასრულება. იქნებ ერთხელ და სამუდამოდ მოვიშოროთ მოჩივანნი და მსგავსი აღარ გავიმეოროთ.

**მამუკა ძვანტალიანი**

## ტრაპატონი — სკალა, შოთა — სპარტაკი ჯანაშია — აეკ

ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალის წილისყრამ გერმანული წყვილი ვერ აიცილა. ჩემპიონთა თასის მფლობელი თანამემამულე ჩემპიონს ხვდება. გერმანული შინაომი ორი იტალიელი სტრატეგის დუელიცაა — „ბაიერნის" ჯოვანი ტრაპატონი „დორტმუნდის" ნევიო სკალას ძლევას ეცდება.

უეფას თასის მეოთხედფინალში შოთა არველაძის ჰოლანდიური „აიაქსი" მოსკოვურ „სპარტაკს" გადაეყარა, თასების თასზე კი ზაზა ჯანაშიას მოსკოვისავე „ლოკომოტივი" თემურ ქეცბაიას ყოფილ კლუბს საბერძნეთის აეკ-ს ხვდება.

**ჩემპიონთა ლიგა**
**მეოთხედფინალი**

CHAMPIONS LEAGUE

იუვენტუსი (იტალია) — დინამო (უკრაინა)
ლევერკუზენი (გერმანია) — რეალი (ესპანეთი)
ბაიერნი (გერმანია) — დორტმუნდი (გერმანია)
მონაკო (საფრანგეთი) — მანჩესტერი (ინგლისი)
მატჩები 4 და 18 მარტს გაიმართება

**უეფას თასი**
**მეოთხედფინალი**

UEFA CUP

ინტერი (იტალია) — შალკე (გერმანია)
აიაქსი (ჰოლანდია) — სპარტაკი (მოსკოვი)
ლაციო (იტალია) — ოსერი (საფრანგეთი)
ატლეტიკო (ესპანეთი) — ასტონ ვილა (ინგლისი)
მატჩები 3 და 17 მარტს გაიმართება

**თასების თასი**
**მეოთხედფინალი**

Cup Winners' Cup

ბეტისი (ესპანეთი) — ჩელსი (ინგლისი)
როდა (ჰოლანდია) — ვიჩენცა (იტალია)
სლავია (ჩეხეთი) — შტუტგარტი (გერმანია)
აეკ (საბერძნეთი) — ლოკომოტივი (მოსკოვი)
მატჩები 5 და 19 მარტს გაიმართება

**ფიფას კონფედერაციათა თასი**

THE FIFA/CONFEDERATIONS CUP
FOR THE KING FAHD TROPHY
SAUDI ARABIA 97
CHEVROLET

## მეტი აღარ შეეტია

**საამიროები 1:6 ჩეხეთი**

**საამიროები: ფარა, მუბარაქი, რაშიდი, გოლამი, ობაიდი (აბდულ სალამი 46), ახმედი (აბდულა 59), ალი, საედ ახმედი, ბაკიტი, ალტალანი, სალიმი (საადი 46)**
**ჩეხეთი: სრნიჩეკი, ჰორნაკი (ლასოტა 46), სვობოდა, რადა, ვლაჩეკი, ნედვედი, ნემეცი, ბეიბლი, კუკა, ზიგლი (ლოკვენცი 83), შმიცერი**
**0:1 ობაიდი (11ს.კ.), 0:2 ნედვედი (22), 0:3 შმიცერი (31), 0:4 ნედვედი (42), 0:5, 0:6 შმიცერი (68, 71), 1:6 ალტალანი (78)**

შვიდი გოლი ერთ შეხვედრაში, საკმაოდ იშვიათი სახილველია, თუმცა გუშინდელ პირველ მატჩში შვიდი კი არა, ათზე მეტი ბურთი უნდა გასულიყო. დამარცხებულებს გუნდი პირობითად თუ ეთქმოდათ, რადგან არაბები სახელდახელოდ შეკრებილთ უფრო გავდნენ. ყველა მუსლიმი ეულად ცდილობდა რაიმე სახეიროს გაკეთებას, მაგრამ მარტოკაცობით რას გახდებოდნენ? ჩეხების უპირატესობა იმდენად დიდი იყო, თავდამსხმელებს რომ უფრო ეყოჩაღათ, ევროპის ვიცე-ჩემპიონები ორნიშნა რიცხვსაც უწევდნენ, მაგრამ ეგ იყო, ხშირად არ უმართლებდათ და მხოლოდ ხუთი ბურთით მოგება იკმარეს.

ნახევარფინალში გასასვლელად ჩეხებს მეტოქე უნდა გაენადგურებინათ და მიზანს მიაღწიეს კიდეც, მაგრამ 6:0-ზე მათი შეუპოვრობა და გოლის გატანის დაუოკებელი ჟინი ცოტა უცნაური იყო. ამას ჩეხთა მწვრთნელის დუშან უგრინის შეშფოთებული სახე და აშკარა ნერვიულობა ერთვოდა, რაც ასეთი უპირატესობისას ერთობ უცნაური ჩანდა.

არადა, უგრინს სანერვიულო ნაღდად არაფერი ჰქონდა. პირველივე წუთებიდან ნათლად გამოჩნდა, რომ აზიელები მეტოქესთან ვერც ფიზიკურ-ტაქტიკური მომზადებით და ვერც საფეხბურთო აზროვნებით ახლოსაც ვერ მივიდოდნენ. დასაწყისიდანვე იოლად მისახვედრი იყო, რომ ჩეხები დიდი ანგარიშით გაიმარჯვებდნენ და მალე ისინი ამ ვარაუდის რეალიზაციას შეუდგნენ, თუმცა გოლების სათვალავში პირველობა მაინც არაბებს ერგოთ.

მე-11 წუთი იწურებოდა, როცა მოჰამედ ობაიდმა ისე ლამაზად ჩაჭრა საკუთარ კარში კუკას ფლანგური ჩაწოდება, ასე მეტოქის კარში რომ გაეტანა, ერთობ შეაქებდნენ. გოლი ნაღდად ლამაზი კი იყო, მაგრამ მალე შმიცერმა უფრო ეფექტური გაიტანა, თანაც თანაავტორი ისევ კუკა იყო — ამის ჩამოწოდებულს შმიცერმა მოულოდნელი ნახევარბრუნი და საშინელი ძალით მოქნეული მარჯვენა დაურთო — ბურთი ფარას კარში კი არ შევარდა, შეესო. შესვენებამდე ლაციოელმა ნედვედმა კიდევ ორჯერ იხეირა და ბოლოს, მეოთხე ნახევარფინალისტის ბედი პირველ 45 წუთში გაირკვია, რადგან შემდეგ წრეში ჩეხების ნაცვლად სამხრეთაფრიკელები რომ გასულიყვნენ, მათ საამისოდ ურუგვაი იმ მომენტისთვის ხუთი ბურთის სხვაობით უნდა დაემარცხებინათ, ეს კი ცოტა არარეალური იყო.

დაიწყო მეორე ტაიმი და კვლავ დატრიალდა არაბთა ცოდვა. შმიცერმა იმდენი ქნა, ჰეთ-თრიქი შეასრულა, მალე კი არაბებმაც გაიხარეს — სრნიჩეკი სრულიად მოულოდნელად კარიდან გამოვარდა და ბაკიტის მიერ ალტალანისკენ ჩაწოდებულის ჩაჭრა სცადა, მაგრამ უნებურად სვობოდას შეეჯახა და ბურთი დაკარგა, არაბთა კაპიტანმა კი პირველმა მოიხელთა იგი და, მართალი რომ ვთქვათ, ლამაზი გოლიც გაიტანა.

ეს იყო და ეს: საამიროების ერთადერთი შეტევა გოლით დასრულდა, ფარას კი ნაღდად ბედმა გაუღიმა, კიდევ ოთხიხუთი გოლი რომ არ გაუშვა.

6:1 და ნახევარფინალის საგზური — ასეთია ჩეხების მონაგარი. ახლა ისინი ფინალში გასასვლელად ბრაზილიელებს შეხვდებიან. მატჩი, სავარაუდოდ, საინტერესო უნდა იყოს, თუმცა გუშინვე გაირკვა, რომ ჩეხების წინააღმდეგ ვერ ითამაშებენ რონალდო და დენილსონი. ორივეს, თუ ბრაზილიელთა ექიმებს ვენდობით, მხარი სტკივა, რონალდოს ტურნირში კვლავაც მონაწილეობა თითქმის გამოირიცხა, დენილსონმა კი, თუ, რა თქმა უნდა, ბრაზილია ფინალში გავა, გადამწყვეტ მატჩში შესაძლოა ითამაშოს.

## გაიტან? — გაგიტან!

**ურუგვაი 4:3 ს. აფრიკა**

**ურუგვაი: ნიკოლა, ლოპესი (დე ლოს სანტოსი 68), სილვა, ერნანდესი, კალეხასი, დიასი, პელეგრინი, კოელიო (გარსია 78), რივასი (ვესპა 78), პაშეკო, რეკობა**
**ს. აფრიკა: ბალუი, მოტაუნგი (ჯეკსონი 46), ნიატი, ფიში, მასინგა, მოშოუ, მკალელე, ვილიამსი (ნდლენია 70), მოეტი, რადებე, ტინკლერი**
**0:1 რადებე (11), 1:1 სილვა (12), 2:1 რეკობა (42), 3:1 სილვა (66), 3:2 მკალელე (70), 3:3 ნდლენია (77), 4:3 კალეხასი (90)**

დღეც ასეთი უნდა — ორი მატჩი, თოთხმეტი გოლი, თანაც რა თამაშები! თუ პირველ შეხვედრაში მხოლოდ ჩეხები ირჯებოდნენ კაცურად, მეორეში ორივე გუნდი ყოჩაღობდა, ამ მატჩის მეორე ტაიმი კი არათუ მარტო ამ ტურნირს, გაცილებით მნიშვნელოვანი შეჯიბრების გადამწყვეტ მატჩსაც დაამშვენებდა.

კვლავ შესანიშნავად ითამაშა ურუგვაელთა ახალგაზრდულმა გუნდმა, თუმცა ბოლო ადგილზე გასვლის მიუხედავად, „ბაფანა, ბაფანაც" იმსახურებს ამ მატჩის გამო შექებას. აფრიკელებმა თავიდანვე იცოდნენ, რომ ნახევარფინალში სასწაული თუ გაიყვანდა და... მათაც სწორედ საამისო იმედით და ჟინით დაიწყეს თამაში, მაგრამ როცა სამხრეთამერიკელებმა მათ გოლს ერთ წუთშივე უპასუხეს, გაირკვა, რომ ნახევარფინალში ჩეხები გავიდნენ — სამხრეთი აფრიკა ურუგვაის ხუთი ბურთით დამმარცხებელი არ იყო. მიუხედავად ამისა, აფრიკის ჩემპიონებმა, განსაკუთრებით კი მათმა უდავოდ საუკეთესო მოთამაშემ დევიდ ნიატიმ, ჯიგრიანად და მართლაც ლამაზად ითამაშეს.

გოლი გოლის წილ — თითქოს ამ პრინციპით მოქმედებდნენ მეტოქენი. თანაბრობისას, 3:3-ზე აფრიკელთა საუკეთესო მცველმა ფიშმა, რომელსაც ერთი ხანობა სერია A-შიც უთამაშია, ისეთ ვითარებაში ვერ ივარგა, სხვა შემთხვევაში ათიდან ცხრაჯერ იხეირებდა. სწორედ აქ ამოქმედდა ფეხბურთის დაუწერელი კანონი — ვერ გაიტან, გაგიტანენო და ურუგვაელებმა მესამე შეხვედრაც მოიგეს — არენდსეს შესანიშნავი მოჭრილი დარტყმა აფრიკელთა თმათეთრა შავმა მეკარემ ვერ მოიგერია.

**ლაშა გოდუაძე**

**ხვალ ნახევარფინალებია**

ბრაზილია — ჩეხეთი
ურუგვაი — ავსტრალია

ფინალი, ზეგ 21 დეკემბერს გაიმართება

**B ჯგუფი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ურუგვაი | 3 | 3 | 0 | 0 | 8:4 | 9 |
| ჩეხეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 9:5 | 4 |
| საამიროები | 3 | 1 | 0 | 2 | 2:8 | 3 |
| ს. აფრიკა | 3 | 0 | 1 | 2 | 5:7 | 1 |



მადრიდის „ატლეტიკოს“ პრეზიდენტის ქუთაისელი კოლეგაც, ეტყობა, მწვრთნელებს მცირეოდენ შეფერხებასაც ვერ პატიობს და მცირე დროშიც ადგილად ელევა. მართალია, ფრუიძე ჩემპიონატის სტარტზე გუნდიდან არ გაუშვია, მაგრამ მთავარ მწვრთნელად სერგო კუტივაძე დანიშნა. რამდენიმე დღის წინ მანაც წინამორბედის ბედი გაიზიარა. თუმცა, სხვაობაც არის, ფრუიძე თუ გუნდში ასისტენტად მაინც დატოვეს, კუტივაძე, ჩანს, უმუშევარი დარჩა. და მაინც, *სერგო კუტივაძე* ჯერაც არ ცნობს ამ ფაქტს.

# სერგო კუტივაძე: თავს ჯერაც ტორპედოს მწვრთნელად ვთვლი

**— ბატონო სერგო, პირველი წრის დასასრულს თქვენ დიდი გეგმები გქონდათ, ენთუზიაზმით საუბრობდით „ტორპედოს“ გაძლიერებაზე. ამის ფონზე მოულოდნელი იყო თქვენი განთავისუფლება. რა იყო ამის მიზეზი?**

— ამ კითხვაზე ბევრს ვერაფერს გეტყვით. ჯერ მხოლოდ ლაპარაკია და ეს ამბავი გაზეთიდან შევიტყვე. თუ გუნდიდან გამათავისუფლეს, ეს ხომ პრეზიდენტმა ბესიკ ჯიქიამ თვითონ უნდა მითხრას, რატომ მიშვებს, რის საფუძველზე. ბოლოს და ბოლოს ბრძანება ხომ უნდა ენახო, განთავისუფლებული რომ ვარ. ამ მიზეზთა გამო მე ახლაც თავს „ტორპედოს“ მთავარ მწვრთნელად ვთვლი. განა იმიტომ, რომ ადგილისთვის თავს ვიკლავ, ასეთი რამ ცხოვრებაში არ მახასიათებდა. საქმე ისაა, რომ უტაქტოდ მომექცნენ, რაც ადამიანურად არის ჩემთვის საწყენი და მიულებელი. „დინამოდანაც“ გამიშვეს, მაგრამ ეთიკური ნორმების დაცვით, თანაც დელიკატურად ამიხსნეს გადაწყვეტილების მიზეზი. მითხრას ჯიქიამ, რითი არ ვაკმაყოფილებ და კი ბატონო, არა მაქვს სადაო. სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, გუნდთან ხომ კონტრაქტი მაკავშირებს. თანაც იცით რა არის ჩემთვის გაუგებარი? სანამ ამ ამბავს გაზეთიდან შევიტყობდი, მანამდე სამი დღით ადრე ჯიქია თავისავე ბანკში ვნახე, მომავლის გეგმებზე ვისაუბრე და ნორმალურად დავშორდი. წამოსვლის წინ მითხრა, შენი იმედი მაქვს, შენ თუ მენდობიო? ამის შემდეგ მათავისუფლებს. აბა, არ გამიკვირდება? მასთან დაკავშირებას ვცდილობდი და ბანკშიც და შინაც მეუბნებიან, არ არისო. მოკლედ, ჯიქიასთან საუბარი ვერ მოვახერხე. ვერც იმას დავიჯერებ, რომ მემალება. მაგრამ რატომ არ სურს ჩემთან საუბარი, განთავისუფლების მიზეზთა ახსნა? ჩვენ ხომ კაცები ვართ და თუნდაც ყველაზე უსიამოვნო სათქმელიც უნდა ვუთხრათ ერთმანეთს. მე ამისთვის მზად ვარ, ახლა პრეზიდენტს ველოდები. მერე ჩემი საქმის მე ვიცი, გზა და სამუშაო ხომ უნდა ავირჩიო. ჯიქია სერიოზული კაცი მეგონა და იმიტომაც მივენდე, დავტოვე სამსახური და ბაზაზე ვცხოვრობდი. ორ თვეში კი საჭირო აღარ ვარ? სერიოზულად დავიწყე გუნდის გაძლიერება. ბოლო მატჩებში გამოჩნდა, რომ „ტორპედო“ აღმავლობის გზაზე იდგა. გუნდის გაწმენდას და ახლების მიწვევას ვაპირებდი. სანკტ-პეტერბურგის „ლოკომოტივის“ მცველ ჩხაბერიძესთან და უგუნდოდ დარჩენილ დათო სოლოღაშვილთან შევთანხმდი, რომ ჩვენთან ითამაშებდნენ. მორკინალელმა ირაკლი ვაშაკიძემ კი უარი გვითხრა. ბაზის გარემონტებასა და სათადარიგო მოედნის მოწყობაზეც ვისაუბრეთ. მოკლედ, იმის თქმა მსურს, რომ დიდი გეგმები მქონდა და ასეთ ამბავს არ ველოდი. თუმცა, ვიმეორებ, გათავისუფლების შესახებ ბრძანება ჯერაც არ მინახავს.

**— და მაინც, ჯიქიამ ეს ოფიციალურად დაგვიდასტურა. თქვენი აზრით, გადაწყვეტილება რითი უნდა იყოს გამოწვეული?**

— ეტყობა, ჩათვალა, რომ ძალიან ბევრი მოვითხოვე. საუბარია იმ პირობებზე, რომელიც ჩემი აზრით გუნდს სჭირდებოდა. მე ბრძანებას არ გავცნობივარ, როცა პრეზიდენტს ვნახავ და ვესაუბრები, ნორმალურად დავშორდები, თანაც კონტრაქტის პირობებიც უნდა შემისრულოს. ერთი რამ მიკვირს, ცოდვად ჩამითვალეს, ფრუიძე და ხერხაძე გუნდიდან რომ არ გავუშვი. გადის ორი დღე და ფრუიძეს ჩემს შემცვლელად აცხადებენ. უცნაური არაა? კუტივაძე პრინციპული არ ყოფილა, ასისტენტები რომ არ გაუშვაო. მე რომ პრინციპული არ ვყოფილიყავი, ჯანაშიას და ნოზაძეს გუნდიდან გავრიცხავდი?

**— როცა მწვრთნელს ათავისუფლებენ, ბუნებრივია, მთავარი მიზეზი შედეგი უნდა იყოს. „ტორპედოს“ კი სწორედ პრეზიდენტის ამბიციებთან შეუფერებლად დაბალი ადგილი უკავია. თქვენი აზრით, გუნდს მეტი არ შეეძლო?**

— შეეძლო, მაგრამ ხომ უნდა გავითვალისწინოთ, რომ „ტორპედოში“ სულ რაღაც ორი თვე ვიმუშავე? აქედან ერთი თვე მოთამაშეთა შესწავლას მოვანდომე. მე არ მითქვამს, ოც დღეში გუნდს გავაძლიერებ-მეთქი. ეს რომ შემეძლოს, „მილანში“ ან „ბარსელონაში“ მიმიწვევდნენ. გუნდში რომ მივედი, ქაოსი დამხვდა და ნელნელა შევუდექი მდგომარეობის გამოსწორებას. გარდა ამისა, ისეთი პრობლემების მოგვარებაც მიხდებოდა, რაც წესით კლუბის ხელმძღვანელთა გადასაწყვეტი იყო.

ხომ ვამბობ, ეტყობა, ძალიან მომთხოვნი ვიყავი. მცირე ძალებითა და თანხებით დიდი საქმე ვერ გაკეთდება. არადა, რაც მოვითხოვე, ისიც მინიმალური იყო... ამით გუნდიც გაძლიერდებოდა და ევროთასებზე გასვლაც სავსებით შესაძლებელი იქნებოდა. თანაც გაითვალისწინეთ, ბოლო ხუთ შეხვედრაში ბურთი არ გაგვიშვია, თამაშის ხარისხი გავაუმჯობესეთ, ოპტიმალური შემადგენლობა დავადგინე და პროგრესიც აშკარად გამოჩნდა.

**— თქვენ ბრძანეთ, „ტორპედოს“ მწვრთნელობაზე როცა დავთანხმდი, ამის გამო ბევრი რამ დავთმეო, მათ შორის სამსახურიც. ახლა ქუჩაში დარჩით?**

— არა, ეს არ მემუქრება. უკვე ფედერაციიდანაც დამიკავშირდნენ და სამსახურს შემპირდნენ, მაგრამ ბავშვი ხომ არ ვარ, ასე უსიტყვოდ გამათავისუფლონ. ისე ფეხბურთის გამო მართლაც ბევრი რამ დავთმე. ოჯახს, თბილ კერას მოვწყდი და ბაზაზე ვცხოვრობდი. მაგრამ ჩემი უბედურებაა, ჯერაც რომანტიკოსად რომ ვრჩები, კიდევ მჯეროდა, სამუშაოდ ნორმალურ პირობებს შემიქმნიდნენ. ტყუილი ყოფილა ამაღლებულ მიზნებსა და გუნდის უანგარო დახმარების სურვილზე ლაპარაკი.

--ჯიქიამ გულშემატკივრებთან შეხვედრისას თქვა, გუნდის ჩამოყალიბებას 3-4 წელი მაინც სჭირდებაო. მე რა სასწაულმოქმედი ვარ, ეს ორ თვეში რომ შევძლო?

ინტრიგანი კი არ ვარ, თავს ჯერაც „ტორპედოს“ მთავარ მწვრთნელად რომ მივიჩნევ, მაგრამ ბოლო უნდა მოეღოს მწვრთნელებთან უპატივცემულო დამოკიდებულებას. წელს რვა მწვრთნელი გაათავისუფლეს და სიტყვაც არავის დაუძრავს. არსებობს კანონი, რომლის მიხედვითაც შრომითი შეთანხმების დარღვევა გარკვეულ სასჯელს ითვალისწინებს. მაგრამ ჩივილი რად მინდა, ასეთი კაცი არ ვარ, ელემენტარული ზრდილობის ნორმა დაიცვან და რაც იფიქრეს, პირში მითხრან. იქნებ, მტყუანი არ ვიყავი?

**— გუნდიდან უკვე მეორედ გათავისუფლებენ. ალბათ, კონფლიქტური პიროვნება ბრძანდებით...**

— კონფლიქტური ნამდვილად არ ვარ, მაგრამ როცა ცდებიან, არ შემიძლია, არ ვთქვა. მე რომ გუნდში ვმუშაობ, ჩემ საქმეში არავინ უნდა ჩაერიოს. პირობები უნდა შეგვიქმნან, მაგრამ დიდი თანხის დახარჯვა ცოტა ეძნელებათ.

**მერაბ გამულაშვილი**

# არც მერთი იყო მწვრთნელი და არც მეორე პრეზიდენტი?

წინა „სარბიელში“ იყო, ქუთაისის „ტორპედოს“ მთავარი მწვრთნელის — სერგო კუტივაძის თანამდებობიდან დათხოვნის შესახებ რომ გაუწყეთ. ეს ამბავი მანამდე ჭორის დონეზე ვიცოდით, ამიტომაც ფაქტის დადასტურება „ტორპედოს“ ერთ-ერთ მეპატრონეს, „სიგმაბანკის“ მმართველს ბესო ჯიქიას ვთხოვეთ. მან კი ეს გვითხრა: „კლუბის დამფუძნებელთა სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების თანახმად სერგო კუტივაძე განთავისუფლებულია მწვრთნელის პოსტიდან“.

არ ვიცით, სხვაგან როგორ, ქუთაისში კი ჯიქიას განცხადებას ნამდვილად გაოცებულნი შეხვდნენ, სხვას რომ თავი დავანებოთ, თვით ქალაქის მერიაშიც, რომელიც „სიგმაბანკთან“ და „იმერეთი-იმპექსთან“ ერთად კლუბ „ტორპედოს“ დამფუძნებლად ითვლება და კლუბის საწესდებო კაპიტალის 40 პროცენტი ეკუთვნის.

კუტივაძის „ტორპედოდან“ დათხოვნის თაობაზე მერიას მხოლოდ „სარბიელიდან“ შეუტყვია. ქუთაისის ვიცე-მერმა გეგი გრიგორაშვილმა კატეგორიულად უარყო დამფუძნებელთა სხდომაზე მერიის წარმომადგენელთა მონაწილეობა და დასძინა, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება მერიის გვერდის ავლით არავითარ შემთხვევაში არ უნდა მიეღოთ, ეს საკითხი ჯიქიას ქუთაისში ჩასვლისთანავე უნდა გაირკვესო.

გუშინვე ჯიქია ქუთაისს დაბრუნდა და ვიცე-მერს შეხვდა, მაგრამ ჭეშმარიტების დადგენა მაინც გაჭირდა. კლუბის პრეზიდენტის თქმით კუტივაძის დანიშვნის ბრძანებაც არ ყოფილა დაწერილი, ის მხოლოდ კონსულტანტი გახლდათო. „სარბიელს“ კი ჯიქიამ ეს განუცხადა: კუტივაძესთან მაცნედ კაცი გავუშვი და ამის მერე რა მოხდა, აღარ ვიციო.

**იუზა კაციტაძე**

რედაქციისგან: ეტყობა, „ტორპედოს“ დოკუმენტაცია მართლა ვერა აქვს წესრიგში, რადგან ამასწინათ, სხვათა შორის, ისიც ითქვა, არც ბესიკ ჯიქიას კლუბის პრეზიდენტად დანიშვნის ბრძანება არსებობსო.

# ბენდელას თასზე ლეგიონერებიც ითამაშებენ

შვეიცარიიდან შვებულებით ჩამოსულმა „გრასჰოპერის“ ნახევარმცველმა გია ნემსაძემ გვითხრა, რომ „ბენდელას“ თასზე მინი-ფეხბურთის თამაშს აპირებს. სამისოდ კი საკმაოდ სერიოზული გუნდის შექმნაც ჩაუფიქრებია. ნემსასთან ერთად მისი თანაგუნდელი მიშა ყაველაშვილი, ტრაბზონელი გოჩა ჯამარაული, თსუ-ს კაპიტანი კოტე მელქაძე და სტუდენტთა მეკარე გუბაზ დოლიძეც ითამაშებენ.

თავის მხრივ დინამოელებიც სერიოზულ ძალად მოგვევლინებიან — მუჯირს, კალაძეს, ცქიტიშვილს, კობიაშვილს, დემეტრაძესა და ზოიძეს ისრაელში მოთამაშე კერძევაძე და ფრაიბურგელი ალექსანდრე იაშვილი უნდა შეუერთდნენ. გარდა ამისა, ტურნირში I ჯგუფის რამდენიმე გუნდის მონაწილეობაცაა მოსალოდნელი. ასე რომ, გულშემატკივარს სპორტის სასახლეში ურიგო სანახაობა როდი ელით.


სარეკლამო სააგენტო
კოკი და კომპანია
რეკლამის დამზადება
1. ფარების დამზადება, მოხატვა და განთავსება მოკლე ვადაში
2. განათებული აბრების დამზადება
3. ფერადი წებოვანი რეკლამები
4. სარეკლამო საათებზე რეკლამის განთავსება
კომპიუტერული მომსახურება
ესკიზების, ბუკლეტების, სავიზიტო და მოსაწვევი ბარათების დამზადება
25% ფასდაკლებით!!!
მისამართი: ალ. ყაზბეგის 42
ვაჭრობის სამინისტრო, 2 კორ. 3 სარ.
ტელ. 95 96 56


„მაღაროელს“ და მის მთავარ მწვრთნელს, ეროვნული ჩემპიონატის პირველ წრეში დალხინებული ცხოვრება ნამდვილად არ ჰქონიათ. ის კი არა, გუნდი რამდენჯერმე სულაც დაშლის პირას იყო. და მაინც, მათ შემოგვთავაზეს სენსაციური მოგებები შინ „ბათუმთან“ და „მორკინალთან“, ფრე თბილისის „დინამოსთან“. მიტომაც „მაღაროელს“ საშინაო გუნდი შეერქვა, მით უფრო, რომ ერთადერთი კლუბია I ჯგუფში, სტუმრად ქულაც რომ არ აუღია. ამას, ცხადია, მიზეზები გააჩნია, რომელთა განმარტებაც ჭიათურელთა დამრიგებელ *ამირან სევასტოპულოს* ვთხოვეთ.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ამირან სევასტოპულო: ოპტიმისტი ვარ

— „მაღაროელს“ სეზონისწინა მზადება, ფაქტობრივად, არ გაუვლია, ამის მიზეზი, რაღა თქმა უნდა, ფინანსური კრიზისი იყო. გუნდი ჩემპიონატის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე რომ შეიკრიბება და იმ შეკრებასაც ნორმალურად ვერ ჩაატარებს, აბა, რა მაღალ შედეგზე შეიძლება საუბარი. მდგომარეობა დიდად არც ჩემპიონატის მსვლელობისას შეცვლილა. ფინანსების უქონლობამ დიდი გავლენა მოახდინა თამაშის ხარისხზე. ამას ისიც დაერთო, რომ გუნდი ორმა ლიდერმა დატოვა: ქობულაშვილი სხვა გუნდში გადავიდა, ბრეგვაძემ კი ფინანსური სიძნელეების გამო საერთოდ დაანება ფეხბურთს თავი. მართალია, კაპარიძე და კავთელაძე რუსეთიდან დაგვიბრუნდნენ, მაგრამ დანაკლისი მაინც აუნაზღაურებელი აღმოჩნდა.

**— ამ სიტუაციაში, ნორმალურ საწვრთნელ პროცესზე ლაპარაკი ზედმეტია...**

— რას ამბობთ, რა საწვრთნელი პროცესი, ან, საერთოდ, რომელ ტაქტიკასა და ტექნიკაზეა საუბარი. რომ ვიცი, ბიჭები მშივრები არიან, ოჯახში უსახსრობის გამო უამრავი პრობლემა აქვთ, რა უნდა მოვთხოვო, როგორ ვაიძულო, ვარჯიშს სულითა და გულით მოჰკიდონ ხელი. ის კი არა, თითქმის ყოველი საშინაო მატჩის წინ ფეხბურთელები თამაშზე უარს ამბობდნენ. ბოლო მომენტშიღა იმარჯვებდა საქმისა და მშობლიური ქალაქის სიყვარული — იმის გამო, რომ არ სურდათ, გუნდი მათ ხელში დაშლილიყო, ბოლოს მაინც გამოდიოდნენ სათამაშოდ. ანალოგიური სიტუაცია შეიქმნა ქუთაისის „ტორპედოსთან“ თამაშის წინ. მე მივედი და ბიჭებს მადლობა ვუთხარი იმისათვის, რომ გუნდი არ დაშალეს. თან დავამატე, მთელი მეორე წრე წინ არის, თუ ფინანსები იქნება და საქმე უკეთესობისკენ წავა, ერთად ვიქნებით, თუ არადა, ყველა ერთად წავალთ და ამით დამთავრდება ყველაფერი-მეთქი.

**— მით უფრო საკვირველია „მაღაროელის“ მიერ საშინაო მატჩებში და თასის მერვედფინალში მიღწეული წარმატებები.**

— იცით რა, მე მჯერა ჩემი გუნდის, ვიცი, რომ მას დიდი პოტენციალი გააჩნია. თუ სახსრები გამოჩნდა, აუცილებლად რამდენიმე ფეხბურთელით გავძლიერდებით. დიდი იმედი გვაქვს ქალაქის ახალი მერისა და „ჭიათურმანგანუმის“ ახალი დირექტორის ოლეგ ბუცხრიკიძის თანადგომის. მათ ყველა ღონე უნდა იხმარონ ჭიათურის „მაღაროელის“ გადასარჩენად. მათ ძალისხმევასა და უნარზეა ახლა დამოკიდებული ჭიათურის ფეხბურთის ბედი. თუ მდგომარეობა არ გამოსწორდა, გუნდი აღარ იქნება და აქედან გამომდინარე, ჭიათურაშიც ფეხბურთი ჩაკვდება. მაგრამ მე ოპტიმისტი ვარ, მჯერა, რომ ჩემი გუნდის ბედის ჩარხი წალმა დატრიალდება. მჯერა, ის წარმატებანი, რომლებიც საშინაო მატჩებში გვქონდა, მოგონებად არ დარჩება.

სიმართლე გითხრათ, „ბათუმთან“ და „დინამოსთან“ მიღწეული შედეგები იმის ბრალია, რომ მათ სათანადოდ ვერ შეაფასეს ჩვენი გუნდი. ჩვენც ბიჭები ფსიქოლოგიურად კარგად შევამზადეთ. ერთთავად ვეუბნებოდით, ისინიც ისეთებივე არიან, როგორიც თქვენ, არც უკან დასახევი და არც დასაკარგი გვაქვს რამე, ბოლომდე ვაჟკაცურად იბრძოლეთ და შედეგიც იქნებაო. რაც მოხდა, უკვე ყველამ კარგად იცით. ხელშეწყობა იყოს და არც თასის გათამაშების მეოთხედფინალია ჩვენთვის უკანასკნელი ზღვარი.

**— თუ სახსრები არ გამოჩნდა, ყველა ერთად წავალთო. ღმერთმა ნუ ქნას, მაგრამ, ვთქვათ, ასეთი რამ მოხდა. რას აპირებთ, უფეხბურთოდ იცხოვრებთ?**

— რა თქმა უნდა, არა. მე ამავდროულად გახლავართ კომპლექსური სპორტული სკოლის დირექტორი, სადაც სხვადასხვა ასაკის ბავშვთა რამდენიმე გუნდია. აქ საკმაოდ ნაყოფიერად შრომობენ მწვრთნელები — დავით იობაშვილი და ავთო თაბაგარი. ორ-სამ წელიწადში საკმაოდ საიმედო ცვლას ველით. მაგრამ თუ დიდი გუნდი, ე. ი. „მაღაროელი“ არ იქნა, ამ ბავშვებმა სად უნდა გააგრძელონ თამაში? არა, დიდი გუნდის გარეშე ჭიათურაში ფეხბურთი მოკვდება. ეს რომ არ მოხდეს, გუნდის პრეზიდენტი გოგი ჩიქვილაძე ყველა ღონეს ხმარობს. იგი ფეხბურთისათვის თავგადადებული კაცია და „მაღაროელს“ უდიდესი ამაგი დასდო. სწორედ მისი პატივისცემით იყო, გუნდმა პირველი წრე რომ ჩაამთავრა.

**— რა გამოსავალს ხედავთ, როგორ შეიძლება გუნდში სახსრების მოზიდვა?**

— მე მგონია, რომ გუნდებს ისევ სახელმწიფომ უნდა მიხედოს, უნდა გამოინახოს გზები, რომლებიც გუნდს სახელმწიფო სტრუქტურებთან დააკავშირებს. თუ ქვეყანამ ფეხბურთზე არ იზრუნა, იგი არა მარტო ჭიათურაში, არამედ მთლიანად საქართველოში მოკვდება. ფაქტს — ჩვენს დონეს — თავად ხედავთ. ქართული ფეხბურთის ლიდერს — თბილისის „დინამოს“ საბჭოეთის პერიოდისდროინდელი საქართველოს ჩემპიონატის I ჯგუფში მონაწილე გუნდებთანაც კი გაუჭირდება თამაში. აღარას ვამბობ იმ გუნდებზე, რომლებიც საკავშირო ჩემპიონატის I და II ლიგაში გამოდიოდნენ. ამის ძირითადი მიზეზი ფეხბურთელთა მიგრაციაა. თუ სპორტსმენს ვარჯიშისა და დასვენებისთვის ელემენტარულ პირობებს ვერ შეუქმნი, რა გასაკვირია, რომ უკეთესი ცხოვრების ძიებაში იგი ცხრა მთასა და ზღვას იქით გადაიხვეწოს?

**— მსაჯების ცემა-ტყეპა ჩვენი ჩემპიონატის ტრადიციად იქცა. თბილისის „დინამოსთან“ მატჩში მომხდარი ცნობილი ინციდენტი ყველას ახსოვს...**

— მომხდარმა, ალალად გეუბნებით, ძალზე დამწყვიტა გული. მართალია, იმას, რაც მოხდა, მე არ შევსწრებივარ და არც არაფერი მინახავს, მაგრამ, ჩემი აზრით, სადისციპლინო კომისიამ არაობიექტური, შერბილებული სასჯელი გამოიტანა. ამას მაინც ვიტყვი, მიუხედავად იმისა, რომ ყიფიანს დიდ პატივს ვცემ. კი ბატონო, მე არ ვეთანხმები სასჯელს მსაჯის ფიზიკური შეურაცხყოფისთვის — ე. ი. ხუთი ქულის დაკლებას, მაგრამ თუკი იგი მოქმედებს დებულების მიხედვით, მაშინ ყველაზე, მათ შორის, ჩვენს უპირველეს ავტორიტეტებზეც უნდა ვრცელდებოდეს ეს. რაც შეეხება თვით პრობლემას, მე მგონია, რომ სასჯელი უფრო მკაცრი უნდა იყოს. ხულიგნობისთვის კაცს ციხეში სვამენ, ჰოდა, მსაჯმა რაღა დააშავა, ისიც ხომ პიროვნებაა და მისი ცემისთვისაც ხომ უნდა დაისაჯოს ვინმე? ჩაიხედეთ დებულებაში: მსაჯის ფიზიკური შეურაცხყოფისათვის პიროვნების მიმართ, მინდორზე იქნება იგი თუ მის გარეთ, აღიძვრება სისხლის სამართლის დანაშაული. ეს რომ ასე ხდებოდეს, მაშინ, ალბათ, ეს პრობლემაც აღარ იქნებოდა.

ისე, ამ პრობლემის სათავე ისევ ჩვენი გაჭირვებული ყოფაა. ფსიქოლოგიურად დათრგუნულებს გვიჭირს ნერვების მოთოკვა, თორემ, აბა, გვილხინდეს და პრობლემებიც თავზე საყრელად არ გვქონდეს, მაშინ მჯერა, ამ თემაზე საუბარი არც კი გვექნებოდა.

**ბესიკ ჯანგავაძე**

ჩემპიონთა თასის ფინალი 20 მაისს „ამსტერდამ არენაზე" გაიმართება — ასეთია ფიფას გადაწყვეტილება, ოღონდ ფინალამდე 10 დღით ადრე „არენამ" ყველა სადავო საკითხი უნდა მოაგვაროს. უფრო ზუსტად: უეფას გარკვეული გარანტიები სჭირდება და მხოლოდ მათი მიღების შემდეგ დაასვამს გადაწყვეტილებას საბოლოო ბეჭედს.

# ოცნების ოთხი სარბიელი

გადაწყვეტილების გამოცხადებისას უეფას წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ევროპული ფეხბურთის ბოსები, ნიდერლანდის ფეხბურთის ასოციაცია და სტადიონის ხელმძღვანელობა შეთანხმებასთან ძალიან ახლოს იყვნენ.

— ჩვენ მხოლოდ ის გვსურს, რომ „ამსტერდამ არენამ" მოაწესრიგოს ყველაფერი, რა ვალდებულებაც აკისრია, ეს იქნება რეკლამა, მანქანების სადგომი, ზოგადად კომფორტის საკითხი თუ VIP-თა ლოჟა — ბრძანა უეფას საშეჯიბრო კომიტეტის შეფმა თომას კურტმა — ფინალისთვის სრული მზადყოფნაა საჭირო. ამაზე ჯერ კიდევ ვიმუშავებთ. ვიმუშავებთ ჩვენც, მაგრამ მასპინძლებიც მოვალენი არიან თავის მხრივ სტადიონი მოთხოვნათა შესაბამისად ჩაგვაბარონ. მოლაპარაკებებისას საერთო გადაწყვეტილებასთან ძალიან ახლოს ვიყავით.

თუ მოხდა საოცრება და ჰოლანდიელებმა უეფას მოთხოვნებს მხარი ვერ აუბეს, კურტის თქმით ფინალი გადაელოცება ინგლისის ან ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციათა მიერ წარდგენილ კანდიდატებს.

უეფას მიერ განსაზღვრულ კრიტერიუმთა თანახმად სარბიელი, რომელსაც ფინალის მასპინძლობა ერგება უნდა იყოს ხუთვარსკვლავიანი და უნდა იტევდეს 50 ათას მაყურებელზე მეტს, რაც იმას ნიშნავს, რომ ინგლისიდან ამ პირობებს მხოლოდ „უემბლი" და „ოლდ ტრეფორდი" აკმაყოფილებს. თუ თამაშის ჩატარების უფლება ესპანეთს ებოძა, მაშინ მასპინძლობას ბარსელონას „კამპ ნოუ" გასწევს.

და მაინც, საეჭვოა, რომ დიდი პატივი ამსტერდამმა ვერ შეირგოს. იმისათვის, რომ ამ ქალაქმა მეორედ უმასპინძლოს ჩემპიონთა თასის ფინალს, ყველა წინაპირობა არსებობს. პირველად ამსტერდამში 1962 წელს შედგა ასეთი რანგის შეხვედრა, „ბენფიკამ" მადრიდის „რეალს" 5:3 მოუგო.

უეფას თასის ფინალი, რომელიც უწინდელისგან განსხვავებით ერთმატჩიანი იქნება, 6 მაისს პარიზის „პარკ დე პრენზე" გაიმართება.

თასების თასის ფინალს 13 მაისს სტოკჰოლმის „რასუნდას" სტადიონი უმასპინძლებს. ცნობისათვის: შვედეთის დედაქალაქს ევროთასების გადამწყვეტი შეხვედრისთვის ადრე არასდროს უმასპინძლია.

სუპერთასის მფლობელი მონაკოში, „ლუი მეორის" სტადიონზე, 28 აგვისტოს გამოვლინდება.

პირველად ქართულ ენაზე

ათასამდე სტატია, უნიკალური ინფორმაცია, ყოვლისმომცველი სტატისტიკა, შვიდასზე მეტი ფოტო და ემბლემა

ყველაფერი ერთ წიგნში




მოიკითხეთ წიგნის მაღაზიებს:

„მერანი" (რუსთაველის 42),
„საუნჯე" (რუსთაველის 28),
„აიხი" (მ. „მარჯანიშვილთან").

დარეკეთ: 990822

# დიდი გერმანული ომი

გუშინ ჩემპიონთა თასის მფლობელი დორტმუნდის „ბორუსია" ამ ჯილდოს სამგზის მპყრობელს მიუნხენის „ბაიერნს" დაუპირისპირეს. ასე შედგა მეოთხედფინალური წყვილი, რომელსაც სრულიადგერმანული შეიძლება ვუწოდოთ.

ფავორიტად მიჩნეულ „მანჩესტერ იუნაიტედს" „მონაკო" შეხვდა და ამისთვის ალბათ მადლობის თქმა მართებს, თანაც საპასუხო შეხვედრა „ოლდ ტრეფორდზე" ექნება. 1996 წლის თასის მფლობელი და გასული გათამაშების ფინალისტი „იუვენტუსი" კი უხერხულ მოწინააღმდეგეს, კიევის „დინამოს" გადაეყარა.

რვა უძლიერესში მოხვედრილი მესამე გერმანული გუნდი ლევერკუზენის „ბაიერი" მადრიდის „რეალს" შეებმება.

ჩემპიონთა ლიგის ჯგუფები ისე იყო შედგენილი, რომ ერთი ქვეყნის ორი გუნდი არ დაპირისპირებულა, მაგრამ ახლა, მეოთხედფინალში სადაც სამმა გერმანულმა შეძლო გასვლა, წყვილების რაოდენობა ისე შემცირდა, რომ ჟენევაში გამართულმა კენჭისყრამ ორი მათგანი ერთმანეთს შეახვედრა.



ინტერი და შალკე უეფას თასის წინა გათამაშების ფინალში შეხვდნენ. სამორანოს გააქვს გოლი, რომლის შემდეგაც საქმე პენალტებამდე მივიდა.

„დორტმუნდმა", ბოლო წლებში „ბაიერნის" ბუნდესლიგურ ბატონობას ხელთათმანი რომ ესროლა, გასულ სეზონში კონტინენტის მთავარი ჯილდოც მოიპოვა (თან სწორედ მიუნხენის სტადიონზე) და ახლა იგი 4 მარტს ისევ იქ გამართავს პირველ შეხვედრას. თავის მხრივ, მიუნხენის გუნდს ჰკლავს ევროპულ ელიტაში დაბრუნების სურვილი. მან ხომ ჩემპიონთა თასი მესამედ 1976 წელს მოიპოვა და მას მერე მორიგი გაბრწყინების მოლოდინშია. ამას ისიც ერთვის, რომ „ბაიერნი" შეეცდება დაამტკიცოს, რომ გერმანულ გუნდებს შორის უპირატესი სწორედ იგია.

ხსენებული წყვილი ბუნდესლიგის ახალ პირველობაზე მიუნხენში შეხვდა ერთმანეთს. მაშინ „ბაიერნმა" 2:0 იძალა, მაგრამ დორტმუნდელთა მენეჯერდირექტორმა კრისტიან ჰოკენიოსმა განაცხადა, რომ ეს შედეგი ბევრს არაფერს ნიშნავს.

— მაშინ 10 ფეხბურთელი გვყავდა დაშავებული. ახლა მდგომარეობა სრულიად განსხვავებული იქნება — თქვა მან.

მიუხედავად იმისა, რომ „მონაკო" კარგ ფორმაშია — ზედიზედ შვიდ მატჩში გაიმარჯვა — „იუნაიტედი" სიხარულს ვერ მალავს და თავი ნახევარფინალში გასულად მიაჩნია. მართალია, „მონაკომ" ფრანგული ცხრილის სათავეში დაიბრუნა ადგილი, მანჩესტერელთა მწვრთნელი ალექს ფერგიუსონი ბედნიერად გრძნობს თავს, ოღონდ თვითკმაყოფილების გრძნობას გაურბის.

— ჩვენ დიდებული შანსი გვაქვს, მაგრამ ამაზე ფიქრმა არ უნდა გაგვიტაცოს — ბრძანა ფერგიუსონმა.

ბოლოს „იუნაიტედი" ფრანგულ გუნდს 1991 წელს შეხვდა, მისი მეტოქე იყო „მონპელიე", რომელსაც შინ დაუზავდა, ხოლო სტუმრად სძლია. უფრო ადრე, დღეიდან 20 წლის წინ კი თასების თასზე „სენტ ეტიენს" მოუგო, თან საშინაო მატჩი მანჩესტერიდან 400 კილომეტრში, პლიმუთში ჩაატარა, რადგან „ოლდ ტრეფორდი" მაყურებელთა ხულიგნობის გამო დისკვალიფიცირებული იყო.

„მონაკოს" ბოლო თამაშს მის მშობლიურ სარბიელზე სულ 1000 მაყურებელი დაესწრო, „იუნაიტედს" გაცილებით უკეთ აქვს საქმე. მოსალოდნელია, რომ „ლუი მეორის" 18 ათასიან სტადიონზე მეოთხედფინალურ შეხვედრას უფრო მეტი ინგლისელი დაესწრება, ვიდრე სამთავროელი ფრანგი.

„იუვენტუსი", რომელიც მეოთხედფინალში ჯგუფის მეორე ადგილით გავიდა, კიევის „დინამოს" პირველ შეხვედრას შინ, ტურინში გაუმართავს. ალბათ იტალიელებს გვარიანი უპირატესობის მოპოვება დასჭირდებათ, რათა კიევის 100 ათასიან სტადიონზე საპასუხო შეხვედრაში მშვიდად იგრძნონ თავი.

„დინამოს" პრეს-მდივანმა ალექსეი სემიონენკომ განაცხადა: — ვერ ვიტყვით, რომ კენჭისყრაში გაგვიმართლა, მაგრამ „იუვენტუსთან" სათამაშოდ მზად ვართ. ჩვენ უკვე დავამტკიცეთ, რომ ევროპული ფეხბურთის გრანდების არ გვეშინია.

ჩემპიონთა თასის ექვსგზის მფლობელი მადრიდის „რეალი" ალბათ წილისყრით კმაყოფილი უნდა იყოს. მას მეოთხედფინალის პირველ შეხვედრაში მეორე მეორეადგილოსანთან, „ლევერკუზენთან" სტუმრობა უწევს.

უეფას თასის კენჭისყრამ გასული გათამაშების ფინალი გაიმეორა: თასის მფლობელი „შალკე" მილანის „ინტერს" დაუწყვილდა. „ინტერმა" უეფას თასი 90-იან წლებში ორჯერ მოიპოვა. ახლა მილანელები იტალიის პირველობის ლიდერები გახლავან და, რაც მთავარია, ჰყავთ რონალდო, საუკეთესო ფორმაში.

— სპორტში შურისძიება არ არსებობს, თუმცა შურისძიება ჩვენი ფეხბურთელებისთვის კარგ სტიმულად გამოდგება — განაცხადა ჯამარია ვისკონტე დი მოდრონემ, იტალიური კლუბის ვიცე-პრეზიდენტმა.

საფრანგეთმა შეჯიბრება შვიდი გუნდით დაიწყო, მაგრამ მეოთხედფინალს ერთი შემოურჩა, „ოსერი" და ისიც რომის „ლაციოს" შეხვდა. ჰოლანდიის ლიგის საოცრად დაწინაურებული ლიდერი „აიაქსი" მოსკოვის „სპარტაკს" გადაეყარა, „ასტონ ვილა" კი ესპანურ „ატლეტიკოს" ეთამაშება, რომელმაც ოცდამეთორმეტედფინალში სხვა ინგლისური გუნდი, „ლესტერი" გამოთიშა გათამაშებიდან.

თასების თასზე ფავორიტი „ჩელსი" ფავორიტ „რეალ ბეტისს" ხვდება. პირველი შეხვედრა ესპანეთში გაიმართება. „შტუტგარტი" პრაღის „სლავიას" ერგო, „ვიჩენცა" პირველ შეხვედრას ჰოლანდიაში ჩაატარებს „როდასთან", ათენის აეკი კი მოსკოვის „ლოკომოტივს" დაუპირისპირდა.

ჩემპიონთა თასის მეოთხედფინალური შეხვედრები 4 და 18 მარტს გაიმართება, უეფას თასისა 3 და 17 მარტს, თასების თასისა კი 5-სა და 19-ში.

## ევროპელ ახალგაზრდათა კალენდარი

უეფაში მოეწყო ახალგაზრდულ ნაკრებთა ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის წილისყრა. თამაშები 23-31 მაისს გაიმართება.

მეოთხედფინალები: ჰოლანდია — რუმინეთი, გერმანია — ინგლისი ან საბერძნეთი, ესპანეთი — რუსეთი, ნორვეგია — შვედეთი. ინგლისის და საბერძნეთის საპასუხო შესარჩევი შეხვედრა წუხელ ნორვიჩში უნდა გამართულიყო. პირველ მატჩში საბერძნეთმა 2:0 მოიგო.

ნახევარფინალები: პირველი მატჩის გამარჯვებული შეხვდება მეორის გამარჯვებულს, მეოთხისა — მესამისას. ნახევარფინალისტები სიდნეის 2000 წლის ოლიმპიადის საგზურს მოიპოვებენ.

## ფეხბურთის რუკასთან



ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტმა განაჩენი გამოუტანა მადრიდის „ატლეტიკოს" ცნობილ ნახევარმცველ ხოსე ლუის კამინეროს. კამინერო ორ თამაშს გამოტოვებს, უფრო სწორედ ერთი წუხელ გამოტოვა, მეორედ კი კვირას, „ბარსელონასთან" შეხვედრისას მოუწევს სტადიონზე მაყურებლად ჯდომა. მადრიდელი ფეხბურთელი გასულ ტურში, „ტენერიფესთან" მატჩში გააძევეს მოედნიდან. მან უხეშად ითამაშა ტენერიფელი რობიანას წინააღმდეგ, თუმცა მოგვიანებით მოიბოდიშა და დაზარალებულს თავისი სათამაშო მაისური აჩუქა. „ყველა ამას ამბობს და მეც ვიზიარებ ხალხის აზრს: მეტად მსუბუქი სასჯელი მერგო" — განაცხადა კამინერომ, ოღონდ დასძინა, ჩემი კლუბი გადაწყვეტილებას ალბათ მაინც გააპროტესტებსო. გარდა კამინეროს საქმისა კომიტეტში იმსჯელეს „ესპანიოლის" მწვრთნელის ხოსე ანტონიო კამაჩოს ამბავზეც. კამაჩო გასულ კვირას, „ბარსელონასთან" შეხვედრისას, მსაჯთან ჩხუბისთვის გააძევეს. მატჩის შემდეგ კამაჩომ განმარტა თავისი განრისხების მიზეზი. თურმე სათადარიგო არბიტრს, რომელთანაც კონფლიქტი მოუვიდა, მისთვის კლოუნი უწოდებია. „ესპანიოლმა" ფედერაცია გააფრთხილა, თუ კამაჩოს დისკვალიფიკაციას მიუსჯით, სამოქალაქო სასამართლოში ვიჩივლებთ. ფედერაციამ თავისი არ დაიშალა, კამაჩო ერთი თამაშით ჩამოაცილა გუნდს და თან დასძინა, რომ კლუბს ჩივილი თუ სურს, შეუძლია იჩივლოს.

ტუნისის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მოსამზადებლად უელსთან და ჩილესთან ან პარაგვაისთან აპირებს თამაშს. ტუნისელთა მწვრთნელის ჰენრი კასპერჩაკის განცხადებით, მისი გუნდის სპარინგპარტნიორები იქნებიან ის ნაკრებები, რომელთა თამაშის ყაიდაც დაახლოებით იმდაგვარია, როგორიც ინგლისის, რუმინეთისა და კოლუმბიის. მოგეხსენებათ, ეს სამეული ტუნისის ეროვნულ გუნდთან ერთად მსოფლიოს ჩემპიონატის G ჯგუფში განაწესა კენჭისყრამ. გადაწყდა ისიც, რომ ტუნისელები 22-27 მაისს სავარჯიშოდ საფრანგეთის ქალაქ ალბერვილს მიაშურებენ, 2 ივნისს კი მონპელიეში ჩილეს ან პარაგვაის შეხვდებიან. ამის შემდეგ გუნდი სამშობლოში დაბრუნდება, სადაც 6 ივნისს უელსთან ითამაშებს და კვლავ საფრანგეთს მიაშურებს.

ფრანგული „მარსელი" ესპანური „ბარსელონასგან" თავდამსხმელს, კრისტოფ დიუგარის ყიდულობს. როგორც დიუგარის აგენტმა ლუჩანო დონოფრიომ განაცხადა, ტრანსფერი ამ კვირაში განხორციელდება. დიუგარიმ „ბორდოდან" წასვლის მერე ვერც „მილანსა" და ვერც „ბარსელონაში" შეძლო ძირითადი შემადგენლობის ადგილის მოპოვება და ახლა ისევ სამშობლოში ბრუნდება. დიუგარის დამატების შემდეგ „მარსელს" მართლაც უძლიერესი თავდასხმა ეყოლება. მოგეხსენებათ, იქ უკვე თამაშობს იტალიელი ფაბრიციო რავანელი.

ესპანური „ბარსელონა" რამდენიმე ფეხბურთელს ჰყიდის. გარდა კრისტოფ დიუგარისა, რომელსაც „მარსელი" წაიყვანს, ხუან ანტონიო პიციც დასტოვებს გუნდს. პიცის პორტუგალიური „ბენფიკა" ყიდულობს, რომელსაც გრემ სუნესი უდგას სათავეში. რაც შეეხება ყიდვას, „ბარსელონას" მწვრთნელს ლუის ვან გაალს თვალი აქვს დადგმული თავის ყოფილ შეგირდზე ფრანკ დე ბურზე. ვან გაალი დე ბურს ამსტერდამის „აიაქსში" წვრთნიდა.

ინგლისის ჩემპიონის „მანჩესტერ იუნაიტედის" ირლანდიელი მცველი დენის ირვინი დიდ მოედანს ახალ წლამდე ვერ დაუბრუნდება. ირვინმა მუხლის მყესები 5 ნოემბერს, ჩემპიონთა ლიგაში ჰოლანდიურ „ფეიენოორდთან" თამაშის დროს დაიზიანა. გუნდის ექიმებს იმედი ჰქონდათ, რომ ირლანდიელს 26 დეკემბრისთვის, ანუ „მანჩესტერისა" და „ჩელსის" თამაშისთვის ჩააყენებდნენ მწყობრში, მაგრამ გეგმა არ განხორციელდება. ირვინს ნელ-ნელა მოუწევს ფორმის აღდგენა. ჯერჯერობით იგი A გუნდში ითამაშებს. A გუნდი სათადარიგოთა და ახალგაზრდათა ნარევი გახლავთ. სავარაუდოდ, მცველი 4 იანვარს დაბრუნდება მთავარ „იუნაიტედში", როდესაც თასის შეხვედრაში მანჩესტერელებს ლონდონის „ჩელსი" დაუპირისპირდება. რაც შეეხება ჩილელ ვარსკვლავს მარსელო სალასს, მისი აგენტის თქმით, იგი ირვინისა და სხვა ვარსკვლავების თანაგუნდელი აღარ გახდება. სალასი არგენტინაში, „რივერ პლეიტში" თამაშობს და „იუნაიტედის" ვაჭრობის საგანი გახლდათ. მანჩესტერის გუნდის თავკაცი ალექს ფერგიუსონი ნოემბერში მის სანახავად ოკეანის გადაღმა გაემგზავრა კიდეც, სადაც ჩილეს ეროვნული გუნდის თამაშს დაესწრო, მაგრამ ეტყობა გარიგება იშლება.

გერმანული „ლევერკუზენი" ჩივის. მის თავდამსხმელს, ულფ კირსტენს მეტოქისთვის იდაყვის მირტყმა ცხრა კვირიან დისკვალიფიკაციად დაუჯდა, რამაც კლუბის ხელმძღვანელები აღაშფოთა. „ლევერკუზენის" გენერალურმა მენეჯერმა რაინერ კალმუნდმა განაცხადა, რომ მან უკვე მიმართა პროტესტით ქვეყნის საფეხბურთო კავშირს და იმედოვნებს, რომ კირსტენს სასჯელს შეუმსუბუქებენ. გარდა ხანგრძლივი დისკვალიფიკაციისა კირსტენს „შალკეს" მცველის თომას ლინკეს ცემა 10 ათასი მარკითაც (5600 დოლარი) დაუჯდა — ასეთია ფინანსური სასჯელი. საინტერესოა, რომ თავდამსხმელის დანაშაული ვიდეოჩანაწერმა ამხილა, თორემ საკუთრივ შეხვედრის დროს მსაჯმა ვერაფერი შენიშნა და ბუნებრივია, არც დაუსჯია ფეხბურთელი.

შვეიცარიის ნაკრების მწვრთნელის თანამდებობა ამ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციამ დორტმუნდის „ბორუსიას" ყოფილ თავკაცს ოტმარ ჰიცფელდს შესთავაზა, მაგრამ გერმანელმა შორს დაიჭირა. 49 წლის ჰიცფელდს შვეიცარიაში ადრეც უმუშავია. დორტმუნდში მისვლამდე იგი ციურიხის „გრასჰოპერს" ედგა სათავეში. მწვრთნელმა განაცხადა, რომ ისევ „იქ" დაბრუნება ძალიან ნაადრევია. აღსანიშნავია, რომ „ბორუსიას" მწვრთნელობიდან გადადგომის შემდეგ ჰიცფელდი კლუბში სხვა თანამდებობაზე დარჩა და კონტრაქტი 1999 წლამდე აქვს დადებული, შემდეგ კი, ალბათ, რომელიმე დიდ გუნდს მიაშურებს. მას წინადადებები არც ახლა აკლია, ლონდონის „ტოტენჰემ ჰოტსპურს" უარი შეუთვალა, მაგრამ „გლაზგო რეინჯერსისთვის", „რეალისა" და „ბარსელონასთვის" ჯერ პასუხი არ გაუცია. შვეიცარიელები კი როლფ ფრინგერის გაშვებისა და ჰიცფელდის უარის შემდეგ, ალბათ, არიგო საკის მიმართავენ. საკი „მილანიდან" წასვლის შემდეგ ჯერჯერობით უმუშევარია.

ინგლისის ნაკრების ყოფილ მოთამაშეს ალან ჰადსონს ლონდონში მანქანა დაეჯახა და იგი საავადმყოფოში გააქანეს. „ჩელსის", „არსენალისა" და „სტოკ სიტის" ფეხბურთელყოფილი შინძკენ მიეშურებოდა, როდესაც ინციდენტი შეემთხვა. ჰადსონი „ჩელსიში" თამაშის დროს გახდა ცნობილი. 1970 წელს ამ გუნდის შემადგენლობაში მან ინგლისის თასი მოიპოვა, 1971-ში კი თასების თასის ფინალში მადრიდის „რეალს" მოუგო. მისი ჯანმრთელობის შესახებ ზუსტი ინფორმაცია არ გავრცელებულა.

ხორვატიის ნაკრებისა და ზაგრების „კროაციას" თავდამსხმელი იგორ ცვიტანოვიჩი 3,4 მილიონ დოლარად ესპანურ „რეალ სოსიედადში" გადადის. გაზეთ „ვეჩერნიკის" ცნობით ხსენებული თანხის ნახევარი „კროაციას" გადაერიცხება, ნახევარი კი 27 წლის ფეხბურთელს. ცვიტანოვიჩი რვა წელიწადია, რაც „კროაციაში" თამაშობს. ბოლო ტურში იგი ჩემპიონატში გადატანილი 104 გოლით კლუბის ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირი გახდა. მისი კონტრაქტი ესპანურ გუნდთან სამნახევარი წლით გაფორმდა. ცაცია თავდამსხმელი, რომელიც წარმოშობით ოსიეკიდანაა, 21-ჯერ მიიწვიეს ნაკრებში და როგორც ჩანს გაისად მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილე გახდება.

## ინგლისი

### XVIII ტურის ბოლო მატჩი
### მანჩესტერი 1:0 ასტონ ვილა

**მანჩესტერი:** შმაიხელი, გ. ნევილი, იონსენი, პალისტერი, ფ. ნევილი, ბატი, ბექჰემი, გიგზი, სოლსკიაერი (მაკლეირი 85), კოული, შერინგემი
**ასტონ ვილა:** ოუკსი, ჩარლზი, რაიტი, ეჰიოგუ, სტონტონი, საუთგეიტი, ტეილორი, დრაპერი, გრეისონი (იოაკიმი 70), მილოშევიჩი (ჰენდრი 70), კოლიმორი
**1:0 გიგზი (52)**

თხელ ცხადყო, თუ რაოდენ ნაყოფიერ ზეგავლენას ახდენს გუნდზე ალექს ფერგიუსონის საშესვენებო საუბარი. 52-ზე კოულმა გიგზს დიდებული პასი გაუჭრა და უელსელის უბადლო მარცხენამ მოიტანა სასურველი შედეგი. ბირმინგემელთა ძირითადი მეკარე მარკ ბოზნიჩი ორშაბათს კლუბის მაგივრად ნაკრებში კონფედერაციის თასზე თამაშობდა, თუმცა ინგლისში რომ ყოფილიყო უეჭველად ოუკსის მაგივრად ათამაშებდნენ. მიუხედავად ბოზნიჩის არყოფნისა, ბირმინგემელთა კარი მაინც ძლიერ დარაჯს ებარა, თუმცა გიგზის დარტყმულის გაშვება ნაღდად არ იქნებოდა. მართალია, უელსელმა ლონივრად დაარტყა, მაგრამ მანძილი საკმაო იყო, რათა მეკარეს სათანადო რეაგირება მოესწრო, მაგრამ ასე არ მოხდა.



გიგზის მარჯვედ მოქნეულმა მარცხენამ მანჩესტერელები ლიდერად დატოვა

AS მანჩესტერიდან

შეხვედრა მანჩესტერის უპირატესობით დაიწყო. ბექჰემი გონივრულად ანაწილებდა ბურთს, გიგზი და გარი ნევილი კი მეტოქის დაცვას სახიფათო მანევრებით აფორიაქებდნენ. მე-9 წუთზე მაიკლ ოუკსს შერინგემის ძლიერი დარტყმის მოგერიება მოუხდა, გიგზის დამატებული კი ხარიხას გადასცდა. გარდაუვალი გოლის მოლოდინი არც შემდეგ გამართლდა. სტუმრებმა გაუძლეს და ტაიმის შუაგულიდან უკვე თავად გადავიდნენ შეტევაზე. „იუნაიტედის" უკანა ხაზს დიდი ჯაფა დაადგა კოლიმორისა და მილოშევიჩის მძაფრი შეტევების შესაჩერებლად. თუმცა, პირველი ნახევრის ბოლოს მაინც მასპინძლებმა იძალეს და რომ არა კარის ძელი, რაიან გიგზი ანგარიშს უკვე შესვენებამდე გახსნიდა.

მეორე ტაიმის დასაწყისმა კიდევ ერ...

გათანაბრების შანსი ბრაიან ლიტლის კერკეტ გუნდს მე-60 წუთზე მიეცა, მაგრამ გარეთ საუთგეიტმა შმაიხელის მოულოდნელი საჩუქრით ვერ ისარგებლა და ბურთი კარს მიღმა გაუშვა.

მომდევნო მომენტში კი საუცხოო შესაძლებლობა უკვე მასპინძლებმა ვერ გამოიყენეს. მსაჯმა შერინგემის ძელზე ასხლეტილი დარტყმის შემდეგ მილოშევიჩს საჯარიმოში ხელით თამაში დაუფიქსირა და პენალტი დანიშნა, ხოლო შერიმ, ისევე როგორც ამ სეზონში „ტოტენჰემისა" და „დერბის" წინააღმდეგ, ბურთი მიზანს ააცილა.

## გერმანია

დორტმუნდის „ბორუსიასა" და ბერლინის „ჰერტას" შორის სამშაბათს ჩატარებულ მატჩს „ვესტფალენშტადიონზე" 51 ათასი მოსერე დაესწრო, რომელთაც საყვედური არ ეთქმოდათ თავიანთი გუნდისადმი — „დორტმუნდმა" დამაჯერებლად ითამაშა და დიდი ანგარიშითაც მოიგო — 3:0. პირველი გოლი (სეზონში მეშვიდე) მე-3 წუთზე ჰეიკო ჰერლიხმა შეაგდო, მომდევნო ორი კი — მე-17 წუთზე პენალტიდან და 73-ზე თამაშიდან — ენდი მიოლერის ანგარიშზეა. ამ გამარჯვებამ დორტმუნდი ერთი ნაბიჯით დააწინაურა, ახლა იგი მე-11 ადგილზეა.

ამ დღეებში ქვეყნის თასის გათამაშებაც გაიმართა. ნახევარფინალში გავიდა წინა გათამაშების გამარჯვებული „შტუტგარტი". საამისოდ მან მეორე ბუნდესლიგის „უერდინგენს" 4:0 მოუგო. „შტუტგარტი" მისმა ნიგერიელმა ფეხბურთელმა ჯონათან აკპობორიმ მე-19 წუთზე დააწინაურა. მეორე ნახევრის დასაწყისში ფრედი ბობიჩმა მოკლე დროში ორი გოლი გაიტანა, თამაშის ბოლო წუთზე კი მათიას ჰაგნერმა მეოთხე შეაგდო. ნახევარფინალში გავიდა „დუისბურგიც". მანაც მეორე ბუნდესლიგის წარმომადგენელს, თბილისელი გულშემატკივრის ძველისძველ ნაცნობს, იენის „კარლ ცაისს" სძლია. ამ შეხვედრის ანგარიში გახლდათ 2:1. დუისბურგელთაგან ორივე გოლი მარკუს ოსტჰოფმა გაიტანა. უძლიერეს ოთხეულში აღმოჩნდა რეგიონალლიგის გუნდი ტრიერის „აინტრახტიც". მან 1:0 აჯობა მისებრ რეგიონალლიგის „მანჰაიმს". მეოთხე გუნდის ვინაობა კი წუხელ, მიუნხენის „ბაიერნისა" და „ლევერკუზენის" შეხვედრაში უნდა გარკვეულიყო.



ექს-იუვენტუსელი პაულო სოუზა დორტმუნდის ერთ-ერთ ლიდერად იქცა

AS დორტმუნდიდან

## ბელგიელი პროფესორი და მონებით მოვაჭრენი

შრომის სამართლის ბელგიელმა პროფესორმა, წლების განმავლობაში ფეხბურთელთა უფლებებისთვის მებრძოლმა როჟე ბლანპენმა ოთხშაბათს ღია წერილით მიმართა ანტვერპენისა და ბრიუგეს მთავარ ბრალმდებლებს და მათ ბელგიური კლუბებისა და აგენტების მიერ ალმოსავლეთევროპელი ფეხბურთელების ყიდვა-გაყიდვის საქმის შესწავლის აუცილებლობაზე მიუთითა.

„ჩვენ თვალწინ ყალიბდება მონებით ვაჭრობის ახალი სახე — ადამიანებს ყიდულობენ იაფად და შემდეგ ძვირად ყიდიან. ეს ეწინააღმდეგება იმ ფუნდამეტურ პრინციპს, რომლის თანახმადაც ადამიანი საქონელი არ არის — განაცხადა ბლანპენმა — თუ ესა თუ ის ბელგიური კლუბი კონტრაქტით გათვალისწინებული ვადის ამოწურვამდე ყიდის ფეხბურთელს, ამით არღვევს ქვეყნის იმ კანონს, რომელიც კრძალავს მუშაობის შეწყვეტას ფულის სანაცვლოდ."

ამ მიმართვის საბაბი გახდა ბრიუგელი გიუნტერ ვერიანის „ანტვერპენში" 6 თვით განათხოვრება. ბლანპენის აზრით, ამ 4-5 წლიანი კონტრაქტის მქონე ფეხბურთელის სხვა კლუბში გადასვლა ხელყოფს ბელგიის კანონს დროებითი სამუშაოს შესახებ.

პროფესორი, რომელმაც თავის დროზე ჟან-მარკ ბოსმანსაც გაუწია დახმარება, თვლის, რომ ფეხბურთელებით ვაჭრობის ფაქტების დამტკიცება წარსულთან შედარებით ახლა უფრო იოლად დასამტკიცებელია და მის წინააღმდეგ რადიკალური ზომების მიღებაა საჭირო.

ამასთან დაკავშირებით ძლიერ განსხვავებული აზრი თითქოს არც ბელგიელ აგენტებს უნდა ჰქონდეთ. ერთ-ერთი მათგანის, ვინმე ლუი დე კრის თქმით, სატრანსფერო წესები საერთაშორისოა და მათ წინააღმდეგ არაფერი გაეწყობა, მაგრამ ფეხბურთში მონაწილე ყველა მხარისთვის ალბათ უფრო ადვილი იქნება, თუ საერთოდ არ იარსებებდა სატრანსფერო თანხები.

## საშობაო არდადეგების წინ

საფრანგეთის პირველობის ლიდერ „მონაკოს" დღეს მეცში 13 წლის წინ დამყარებული რეკორდის გამეორება აქვს განზრახული — ზედიზედ მერვე გამარჯვება სურს. ასეთი რამ საფრანგეთში 1984 წელს „ოსერმა" შეძლო. სამთავროელთა მწვრთნელი ჟან ტიგანა ამ ფაქტის გარშემო ატეხილ აჟიოტაჟს არ იზიარებს:

— ეს ისეთივე მატჩი იქნება, როგორც ნებისმიერი სხვა. მისი ფასია სამი ქულა. როგორც წესი, „მეცი" შინ გვიგებს, ჩვენ კი სტუმრად ვამარცხებთ.

მართლაც, აგვისტოში „მეცმა" მონაკოში 2:1 მოიგო, ასე რომ, ახლა შესაძლოა შურისძიება ვიხილოთ. სწორედ იმ შეხვედრაში აღმოაჩინა მთელმა საფრანგეთმა, რომ „მეცი" ყველაზე მცირე ბიუჯეტის მიუხედავად, ერთ-ერთი საუკეთესო გუნდია.

— ის რამდენიმე სეზონია, ქვეყნის საუკეთესო გუნდებს შორისაა და თან ერთ-ერთი საუკეთესო მწვრთნელი ხელმძღვანელობს. ჟოელ მიულერი და მე ყმაწვილკაცობაში „ლიონში" ვთამაშობდით ერთად — დასძინა ტიგანამ.

მიუხედავად იმისა, რომ ტიგანა მატჩის მნიშვნელობის დაკნინებას ცდილობს, რათა ფეხბურთელებს ფსიქოლოგიური ტვირთი მოუხსნას, ისინი გრძნობენ, რომ საშობაო არდადეგების წინ ჩინებული განწყობილების შექმნა ძალუძთ.

— „მეცთან" მხოლოდ და მხოლოდ ჩემპიონატის მორიგ შეხვედრას ვთამაშობთ, მაგრამ ის საგანგებოცაა. ლიდერი მეორე ადგილზე მყოფს ეთამაშება. ჩვენ ამ მატჩს ისე უნდა მივუდგეთ, თითქოს იგი ფინალი იყოს — განაცხადა თავდამსხმელმა დავიდ ტრეზეგმა.

— „მეცთან" თამაში მეტად ძნელია. ეს გუნდი ლიდერებთან ორმაგი ძალით თამაშობს — კვერი დაუკრა მეორე ფორვარდმა ტიერი ანრიმ.

აღსანიშნავია, რომ „მონაკოს" არ ეყოლება დაშავებული აფრიკელები ვიკტორ იკპება და იაფეტ ნდორამი. სამაგიეროდ, დისკვალიფიკაციის შემდეგ მოედანს დაუბრუნდება ალი ბენარბია.

„მეცს" წინა ტურში „პარი სენ ჟერმენთან" ნათამაშევმა ფრემ (1:1) მხნეობა შემატა.

— ჩვენ არ ვაცხადებთ, რომ ჩემპიონობის ღირსნი ვართ, მაგრამ რაკილა პირველ ადგილზე გადასვლის შანსი გვეძლევა, ხელიდან გაშვებას არ ვაპირებთ — ბრძანა „მეცის" პრეზიდენტმა კარლო მოლინარიმ.

## ფიფას კონფედერაციათა თასი

THE FIFA/CONFEDERATIONS CUP
FOR THE KING FAHD TROPHY
SAUDI ARABIA 97
PRESENTED BY CHEVROLET

## როცა რონალდო გადატვირთულია

### ბრაზილია 3:2 მექსიკა

**ბრაზილია:** დიდა (როჟერიო 73), ალდაირი, ჟუნიორ ბაიანო, დუნგა, რობერტო კარლოსი, კონსეისაო, ზე მარია, დენილსონი, ჟუნინიო, რომარიო, რონალდო (ბებეტო 46)
**მექსიკა:** პერესი, სუარესი, გაბრიელი (გარსია 62), დავინო, ლარა, ლუნა (რამირესი 46), ბლანკო, პარდო, პალენსია, კარმონა, ერნანდესი
**1:0 რომარიო (41პ), 1:1 ბლანკო (52), 2:1 დენილსონი (59), 3:1 ჟუნიორ ბაიანო (66), 3:2 რამირესი (90)**

წლევანდელი წელი რონალდოსთვის ძალიან გადატვირთული გამოდგა. ჯერ ესპანეთის ჩემპიონატი, რომელსაც თან ქვეყნის თასი და ევროტურნირები ერთვოდა, მერე საფრანგეთის ოთხთა ტურნირი და სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატი, ახლა სერია A და კვლავ ევროტურნირები. ყველაფერმა ამან მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი ძლიერ გამოფიტა, რაც საუდის არაბეთში ნათლად გამოჩნდა. ასე თუ გაგრძელდა, შესაძლოა, რონალდო, რომელსაც მომავალი მსოფლიოს ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელად მიიჩნევენ, უპირველეს საფეხბურთო ტურნირზე სხვებისგან არაფრით გამოირჩეოდეს.

რონალდო ძლიერ დაიღალა. კაცმა ორ ათეულ წელს ახლახან გადააბიჯა და უკვე იმდენი ტვირთი დააწვა ზურგზე, რომ ნათელია, ასაკის გამო იგი მის ზიდვას ვერ შეძლებს. კლუბშიც და ნაკრებშიც მაქსიმუმს სთხოვენ, ყველგან და ყოველთვის ერთ დონეზე თამაში კი, დამეთანხმებით, შეუძლებელია. ლოგიკურად მას ჩავარდნა უნდა ჰქონოდა და იქნებ დაეწყო კიდეც. კონფედერაციების თასზე ერთხელაც ვერ ითამაშა ნორმალურად და თან, მიუხედავად ბევრი საგოლე მომენტებისა, ერთიც ვერ გაიტანა. შესაძლოა, მან ტურნირში ველარც ითამაშოს, რადგან პირველი ტაიმის მიწურულს მხარში აუტანელი ტკივილი უგრძნია და ზაგალომ სწორედ ამიტომ შეცვალა. სერიოზულია თუ არა ტრავმა, ცნობილი არაა, მაგრამ თუ მწვრთნელს ვენდობით, რონალდოს ნახევარფინალში თამაში დიდად საეჭვოა.

რაც შეეხება თვითონ მატჩს, იგი კარგი სანახავი გამოდგა, თუმცა მეტოქეთა მიზანი პირველსავე წუთზე გაირკვა — მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონებმა, როგორც ყოველთვის, მოგებისთვის ითამაშეს, მექსიკამ კი იცოდა, რომ ნახევარფინალში გასასვლელად ფრეც აძლევდა ხელს და დაცვითი თამაში ამჯობინა.

საერთოდ, იშვიათად ხდება ხოლმე, საკუთარ საჯარიმოში გამაგრებულ გუნდს ბრაზილიელთა შეტევებისთვის რომ გაეძლოს. ამჯერადაც ასე მოხდა, თუმცა რომარიოს პენალტამდე კონკაკაფის ჩემპიონები ასე თუ ისე, რაღაცას ახერხებდნენ. თავად ბრაზილიელები უნარიანად იყენებდნენ სივრცეს, მექსიკელებმა რომ დაუთმეს და პერესს ერთიობ აწუხებდნენ, მაგრამ გოლი იმიტომ არ გადიოდა, რომჯერ ერთი, თავად მეკარე ირჯებოდა კარგად, მეორეც — მექსიკელთა სამი მცველი მილიმეტრითაც არ შორდებოდა რომარიოს, რონალდოს და დენილსონს. ეგ კი არა, ბრაზილიელთა შესაჩერებლად მცველებს თავდამსხმელებიც ეხმარებოდნენ, რომელთაც ფორვარდები პირობითად ერქვათ, რადგან მთელი პირველი ტაიმი მეტოქის კარისკენ მხოლოდ ორჯერ დაარტყეს.

ამასობაში ბრაზილიელები დროს უქმად არ კარგავდნენ, მაგრამ სანამ პაველ პარდომ საჯარიმოში შეჭრილი ფლავიო კონსეისაო არ წააქცია, მანამდე გოლი არ გავიდა. სამხრეთაფრიკელმა მსაჯმა იან მაკლეოდმა უეჭველი პენალტი დანიშნა და რომარიომაც, რომელსაც მანამდე ხეირიანი არაფერი გაუკეთებია, ტურნირში მესამე გოლი შეაგდო.

რაკი მსაჯი ვახსენეთ, ბარემ აქვე დავძენ, რომ შესვენების შემდეგ, როცა თამაში ხეირიანად არც კი განახლებულიყო, იგი შეცვალეს — მაკლეოდმა თავი დაიზიანა და მისი მოვალეობა ტაილანდელმა უნ პრაზეპი პირომმა იტვირთა.



მექსიკელები რონალდოს იოლად გაუმკლავდნენ

REUTERS

მსაჯის გამოცვლას ახალი არაფერი მოჰყოლია, მხოლოდ ბლანკოს გოლმა შეცვალა თამაშის ტემპი. 1:1-ზე გუნდებმა უფრო ლაღი, სანახაობრივი ფეხბურთი გააჩაღეს, თუმცა გახსნილი თამაშით, გასაგები მიზეზების გამო, ბრაზილიელებმა უფრო იხეირეს. ჯერ გაბრიელის არ აპატია შეცდომა დენილსონმა და კვლავ დააწინაურა ბრაზილია, მერე კი ჟუნიორ ბაიანომ, რომელიც მცველთა შორის უდავოდ საუკეთესო იყო, ორი მეტოქის გაბითურების შემდეგ გამოიჩინა თავი. ერთადერთი, რაც მექსიკელებმა მოახერხეს, ანგარიშის ოდნავ შემცირება იყო. რამონ რამირესმა ბრაზილიურ ცოცხალ კედელს კოხტად გადაატარა ბურთი თავზე და...

## გოლის დროც მოსულა

### საუდეთი 1:0 ავსტრალია

**საუდის არაბეთი:** ალ დეიეა, ალ დოსარი, ალ ხილაივი, ზუბრომავი, სულიმანი, ალ ჰარბი, ალ ჯაბერი, მეჰალელი (ო. ალ დოსერი 67), ჯ. ალ დოსერი, ალ მუვალიდი (ალ ტემავი 76), ოვაირანი (ალ ზახრანი 89)
**ავსტრალია:** ბოზნიჩი, ხორვატი, ლაზარიდისი, ივანოვიჩი, ტობინი, ფოსტერი, სკოკო (ა. ვიდმარი 74), სლეიტერი, ზელიჩი, მორი (ვიდუკა 66), ალოიზი (კიუელი 66)
**1:0 ალ ხილაივი (40)**

დაადგა საშველი. ბოლოს და ბოლოს მასპინძლებმაც გაიტანეს გოლი და რაც მთავარია, იმარჯვეს. შეხვედრა არაბთათვის არაფერს წყვეტდა, ბრაზილიასთან და მექსიკასთან წაგებულმა მატჩებმა ისინი უკვე გამოთიშა თავიანთი მეფის თასისთვის ბრძოლას, მაგრამ შელახულ თავმოყვარეობას და პრესტიჟს აღდგენა უნდოდა. აღადგინეს კიდეც. ალ ხილაივის ერთადერთმა გოლმა ავსტრალიელებს ბოლო 18 შეხვედრაში პირველი მარცხი აგემეს. იმდენად დიდი იყო სურვილი გამარჯვებისა, რომ ავსტრალიელებს ოსტატობამაც ვერ უშველა. მარტო პირველ ნახევარში ალ ჯაბერს ხუთი საგოლე მომენტი ჰქონდა, თუმცა, ვერც ერთი ვერ გამოიყენა. მიუხედავად უიღბლობისა, მან გუნდი მაინც ახეირა — ალ ხილაივის საგოლედ უპასა.

საათზე მეტი იყო გასული, ვენეიბლზმა თავდასხმა რომ გააძლიერა, მაგრამ ძალისხმევა გვიანი აღმოჩნდა. მართალია, ვიდუკამ და კიუელმა ხარიხას ორჯერ მოარტყეს ბურთი, მაგრამ ვერაფერი შეცვალეს. ავსტრალია ბოლო ორი წლის მანძილზე და ტერი ვენეიბლზის თავკაცობით პირველად დამარცხდა.

...ავსტრალიას გაუმართლა. მექსიკამ წააგო და ნახევარფინალშიც მწვანე კონტინენტელები გავიდნენ.

**ლაშა გოდუაძე**

A ჯგუფი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრაზილია | 3 | 2 | 1 | 0 | 6:2 | 7 |
| ავსტრალია | 3 | 1 | 1 | 1 | 3:2 | 4 |
| მექსიკა | 3 | 1 | 0 | 2 | 8:6 | 3 |
| საუდეთი | 3 | 1 | 0 | 2 | 1:8 | 3 |

ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘ

# ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ... ᲓᲐᲗᲑᲐ

**ვერის ბაღში დაიწყო საქართველოს საკალათბურთო ჩემპიონატის მეორე წრე. პირველობის განახლება შესაძლებელი გახდა მას შემდეგ, რაც დარბაზში ორი სათბობი დანადგარი დაიდგა. მართალია, ჯერჯერობით ერთ-ერთი ვერ ამუშავდა, მაგრამ დარბაზში მაინც აღარ იგრძნობა სიცივე და თბილისის პირველი თოვლი... ჩემპიონატში ჯერ ექვსი გუნდი ჩაება, თუმცა, მეორე ტურიდან ტურნირს სოხუმის „კოლხა“ გამოაკლდა, რომლის ოთხი მოთამაშე 1983 წლამდე დაბადებულთა საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში იტალიაში გაემგზავრა საერთაშორისო ტურნირზე. „კოლხას“ დანარჩენი შეხვედრების გამართვა იანვარშია ნავარაუდევი.**

16 დეკემბერი

**ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲔᲜᲘ 96:90 ᲓᲘᲜᲐᲛᲝ 2**

**შევარდენი: ორჯონიკიძე (10), მაჭავარიანი (7), კაზანჯიანი (17), გიგაური (41), ლეინეფაძე; მესხი (9), ოქრუაშვილი (7), არსიაშვილი (5), ჩარგეიშვილი**
**დინამო 2: ვეფხვაძე (34), მეგრელიშვილი (2), ფსუტური (15), ხეცურიანი (2), ნოზაძე (5); გრძელიშვილი, მშვილდაძე (15), უჩუმბეგაშვილი (2)**

შევარდენელთა რიგებში წელს პირველად გამოჩნდა გიგაური, რომელმაც ამ სეზონის წინ დატოვა გუნდი და სდასუში გადავიდა. მეორე შეხვედრაში არასპორტული ქმედებისთვის მას პირველი წრის დარჩენილ მატჩებში დისკვალიფიკაცია მისცეს. ახლა კი გიგაური კვლავ თავის ძველ გუნდს დაუბრუნდა. სწორედ იგი იყო მატჩის მთავარი ფიგურა. თამაშს მოწყურებული გიგაური მეტოქეებმა ვერაფრით გააჩერეს და „შევარდენმა“ უკვე პირველ ტაიმში მიაღწია სოლიდურ უპირატესობას 54:38.

მაგრამ უსაზღვროა ნორჩ დინამოელთა გამარჯვების ჟინი და ენთუზიაზმი. მათ ბოლომდე იბრძოლეს. ვეფხვაძემ და მშვილდაძემ მეორე ტაიმში პარტნიორები აიყოლიეს, მაგრამ შეხვედრის პირველ ნახევარში დაკარგული ვერ აინაზღაურეს.

**ᲕᲘᲗᲐ 101:88 ᲡᲢᲣ**

**ვითა: აბრამიძე (6), დავითულიანი (26), ორმოცაძე (14), მიქაძე (4), ჩუბინიძე (18); კორძაძე (5), გაგნიძე (12), ლოსაბერიძე (16), კობეშავიძე**
**სტუ: დ. ბერიშვილი (16), ჩაჩუა (5), სუხიშვილი (6), ნოზაძე (11), ხარაძე (11); გოგაშვილი (6), ი. ბერიშვილი (4), ბათხაძე (3), სპარსიაშვილი (15), ლასარეიშვილი (11)**

პირველ წრეში სტუდენტებმა დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს ჩემპიონს და იმ მატჩის ბედი თავიანთ თავის სასარგებლოდ ვითელებმა მხოლოდ ბოლო წუთებზე გადაწყვიტეს.

ჩემპიონებმა ეს გაითვალისწინეს და უკვე პირველ ტაიმშივე გატეხეს სტუ-ს წინააღმდეგობა — 20 ქულით მოიგეს ტაიმი 61:41.

**ᲡᲓᲐᲡᲣ 87:64 ᲙᲝᲚᲮᲐ**

**სდასუ: ჩერქეზიშვილი (18), აბულაძე (7), ჩხეიძე (18), ოთიურიძე (16), დერიუგინი (17); მუშკუდიანი (4), ახობაძე (3), ნაცვლიშვილი (4)**
**კოლხა: ქვილითაია, უგრეხელიძე (6), კვაჭაძე (15), ქარუმიძე (13), ცქიტიშვილი (8); აბულაძე (10), ბერიშვილი (2), კედია (6), ვაშაკიძე (4)**

პირველ ტაიმში ახალგაზრდა კოლხელები ტოლ-სწორად ეთამაშნენ გამოცდილ მეტოქეს და მხოლოდ ოთხი ქულით დათმეს მატჩის ნახევარი (38:42), მაგრამ სდასუ-ს ბევრის მნახველი შემადგენლობის დამარცხება დღესდღეობით მათ ძალებს აღემატება. სდასუ-მ სანაძისა და ტურაშვილის გარეშეც იოლად გაიმარჯვა.

17 დეკემბერი

**ᲡᲓᲐᲡᲣ 97:62 ᲡᲢᲣ**

**სდასუ: ჩერქეზიშვილი (20), ჩხეიძე (27), აბულაძე (3), ოთიურიძე (14), დერიუგინი (19); ახობაძე (3), ნაცვლიშვილი**
**სტუ: დ. ბერიშვილი (12), სპარსიაშვილი (8), ხარაძე (2), სუხიშვილი (5), ნოზაძე (20); ლომიძე (5), გიგაშვილი, ბათხაძე, ლასარეიშვილი (8), ჩაჩუა**

ახალი უნივერსიტეტის კალათბურთელებმა ძირძველ უმაღლეს სასწავლებლის მოთამაშეებს უკვე პირველ ტაიმში აჯობეს და, რა თქმა უნდა, ლოგიკურ დასასრულამდე მიიყვანეს მატჩი.

**ᲕᲘᲗᲐ 96:83 ᲓᲘᲜᲐᲛᲝ 2**

**ვითა: აბრამიძე, დავითულიანი (26), ორმოცაძე (18), ჩუბინიძე (10), კორძაძე (4); ვაშაკიძე (2), კობეშავიძე (4), ლოსაბერიძე (14), ბახტაძე (4), მიქაძე (7), გაგნიძე (7), ფაჩულია**
**დინამო 2: ვეფხვაძე (30), უჩუმბეგაშვილი (19), ხეცურიანი (12), სიხარულიძე (7), ფსუტური (12); ზასაშვილი (1), მშვილდაძე (2)**

დინამოელები საკმაოდ გაუძალიანდნენ, მაგრამ საბოლოოდ ჩემპიონმა რიგი გამარჯვება მიითვალა.

დღეს ითამაშებენ

**12 სთ — ხტუ - შევარდენი**
**13.30 — ვითა - სდასუ**

ᲠᲔᲒᲣᲚᲐᲠᲣᲚᲘ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ

# ᲧᲕᲔᲚᲐ ᲮᲝᲠᲕᲐᲢᲘ ᲕᲔᲠ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ

15 დეკემბერი

**ᲩᲘᲙᲐᲒᲝ 111:104 ᲤᲘᲜᲘᲥᲡᲘ**

**ჩიკაგო: ჯორდანი (31), კუკოჩი (23)**
**ფინიქსი: მაკდაიესი (23), სებალოსი (22 + 10 მოხსნა)**

უპიპენო ჩიკაგოში ფრთის მოვალეობას 1995-96 სეზონის საუკეთესო მეექვსე მოთამაშე, ხორვატი ტონი კუკოჩი ასრულებს და არცთუ ურიგოდ. ფინიქსთან ჩიკაგოს ძირითადი ცენტრი, ავსტრალიელი ლუკ ლონგლიც აკლდა, რომლის ადგილი კანადელმა ბილ ვენინგტონმა დაიკავა, მაგრამ ხორვატისგან განსხვავებით ხუთეულს ვერ მოერგო — მხოლოდ 4 ქულა მიითვალა. ტრავმებმა ფინიქსის რიგებიც შეათხელა: თავისიანთა მარცხს რექს ჩეპმენი და კევინ ჯონსონი ტრიბუნიდან ადევნებდნენ თვალს.



ჩიკაგო — ფინიქსი. მაკდაიესმა ბევრი კი იომა, მაგრამ...

**ᲢᲝᲠᲝᲜᲢᲝ 101:108 ᲘᲜᲓᲘᲐᲜᲐ**

**ტორონტო: კემბი (28), სტუდემაიერი (16 + 15 პასი)**
**ინდიანა: მილერი (22)**

**ᲞᲝᲠᲢᲚᲔᲜᲓᲘ 90:99 ᲐᲢᲚᲐᲜᲢᲐ**

**პორტლენდი: ანდერსონი (20)**
**ატლანტა: ლეიტნერი (19 + 13 მოხსნა)**

**ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ 88:86 ᲘᲣᲢᲐ**

**ვაშინგტონი: ჰოვარდი (21)**
**იუტა: მელოუნი (26 + 13 მოხსნა)**

ბოლო მეოთხედის დასაწყისში იუტა 75:64 აგებდა, მაგრამ წინა სეზონის უძვირფასესმა მოთამაშემ კარლ მელოუნმა 7 ქულა შესძინა გუნდს, რომელმაც მონაკვეთი 16:4 მოიგო და 80:79 დაწინაურდა 4 წუთით ადრე. ამის მერე კი ვაშინგტონელებმა გამოიდეს თავი ჯუონ ჰოვარდის მეთაურობით და საბოლოოდ გამარჯვება მათ დარჩათ.

**ᲑᲝᲡᲢᲝᲜᲘ 100:83 ᲤᲘᲚᲐᲓᲔᲚᲤᲘᲐ**

**ბოსტონი: მერსერი (20)**
**ფილადელფია: სტეკჰაუზი (25)**

16 დეკემბერი

**ᲙᲚᲘᲞᲔᲠᲡᲘ 94:109 ᲡᲘᲔᲢᲚᲘ**

**კლიპერსი: ბარი (21)**
**სიეტლი: პეიტონი (25), ელისი (23)**

**ᲡᲐᲙᲠᲐᲛᲔᲜᲢᲝ 94:87 ᲞᲝᲠᲢᲚᲔᲜᲓᲘ**

**საკრამენტო: უილიამსონი (26)**
**პორტლენდი: საბონისი (23 + 8 მოხსნა), რაიდერი (21)**

**ᲒᲝᲚᲓᲔᲜ ᲡᲢᲔᲘᲢᲘ 103:92 ᲓᲐᲚᲐᲡᲘ**

**გოლდენ სტეიტი: სმიტი (28), მარშალი (22)**
**დალასი: ფინლი (26 + 10 მოხსნა + 7 პასი)**

დალასს ერთი-ორი გამარჯვების მერე ისევ „ჩაეძინა“. გოლდენ სტეიტსაც, დალასივით, 5 მოგება გაუხდა.

**ᲓᲔᲜᲕᲔᲠᲘ 85:99 ᲡᲐᲜ ᲐᲜᲢᲝᲜᲘᲝ**

**დენვერი: ფორსტონი (18)**
**სან ანტონიო: რობინსონი (22 + 14 მოხსნა), დანკანი (20)**

**ᲰᲘᲣᲡᲢᲝᲜᲘ 118:91 ᲕᲐᲜᲙᲣᲕᲔᲠᲘ**

**ჰიუსტონი: უილისი (23 + 10 მოხსნა), დრექსლერი (22 + 10 პასი)**
**ვანკუვერი: აბდურ-რაჰიმი (17)**

14 ნოემბერს ჰიუსტონმა თითქმის მოგებული თამაში წააგო ვანკუვერთან. ამჯერად მას სასწორზე აღარ შეუგდია თავისი უპირატესობა.

**ᲛᲘᲜᲔᲡᲝᲢᲐ 96:109 ᲚᲔᲘᲙᲔᲠᲡᲘ**

**მინესოტა: გარნეტი (21 + 18 მოხსნა)**
**ლეიკერსი: ჯონსი (32), კემბელი (22)**

ნოემბრის უძვირფასესმა მოთამაშემ ედი ჯონსმა ამჯერადაც ბრწყინვალედ ითამაშა.

**ᲛᲐᲘᲐᲛᲘ 95:103 ᲘᲣᲢᲐ**

**მაიამი: ჰარდევეი (21 + 11 პასი)**
**იუტა: მელოუნი (29), ჰორნაჩეკი (18)**

**ᲙᲚᲘᲕᲚᲔᲜᲓᲘ 103:90 ᲤᲘᲜᲘᲥᲡᲘ**

**კლივლენდი: კემპი (21 + 11 მოხსნა)**
**ფინიქსი: მაკდაიესი (21)**

**ᲜᲘᲣ ᲘᲝᲠᲙᲘ 83:78 ᲓᲔᲢᲠᲝᲘᲢᲘ**

**ნიუ იორკი: იუინგი (31+10 მოხსნა + 5 დაფარება)**
**დეტროიტი: უილიამსი (19+10 მოხსნა)**

„მედისონ სკვერ გარდენში“ ანგარიში ნიუ იორკმა გახსნა, დეტროიტმა ზუსტი სროლით უპასუხა და... ეს იყო და ეს, ამის მერე დეტროიტი ნიადაგ მდევარი გახლდათ, რასაც პატრიკ იუინგს უნდა „უმადლოდეს“. ამან მართლაც რომ სისხლი გაუშრო მის ტყუილად მდევარ ბრაიან უილიამსს და მთლიანად დეტროიტსაც. ნიუიორკელი რომ დაასვენეს, დეტროიტმა ამოისუნთქა და ოთხ ქულამდე მიუახლოვდა მეტოქეს, მაგრამ ამის მეტი ვერა შეიძლო. პისტონზმა ერთხელაც, მატჩის ბოლოსაც მოახერხა სხვაობის ოთხ ქულამდე შემცირება, მერე ნიუიორკელმა მილზმა და დეტროიტელმა უილიამსმა თითო შედეგიანი საჯარიმო გაცვალეს და ოთხქულიანი სხვაობა კვლავ შენარჩუნდა, მაგრამ სტუმრები ისევ იუინგზე დაჯარიმდნენ და მანაც მატჩის ბოლო ქულა მიითვალა.

ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ

ატლანტის დივიზიონი

| | | | |
|---|---|---|---|
| მაიამი | 15 | 7 | 68,2 |
| ორლანდო | 16 | 8 | 66,7 |
| ნიუ იორკი | 14 | 9 | 60,9 |
| ნიუ ჯერსი | 12 | 10 | 54,5 |
| ბოსტონი | 10 | 12 | 45,5 |
| ვაშინგტონი | 10 | 14 | 41,7 |
| ფილადელფია | 6 | 15 | 28,6 |

ცენტრალური დივიზიონი

| | | | |
|---|---|---|---|
| ატლანტა | 18 | 5 | 78,3 |
| კლივლენდი | 15 | 7 | 68,2 |
| შარლოტი | 14 | 7 | 66,7 |
| ინდიანა | 14 | 8 | 63,6 |
| ჩიკაგო | 14 | 9 | 60,9 |
| მილუოკი | 11 | 11 | 50,0 |
| დეტროიტი | 11 | 13 | 45,8 |
| ტორონტო | 2 | 21 | 8,7 |

ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ

შუა დასავლეთის დივიზიონი

| | | | |
|---|---|---|---|
| ჰიუსტონი | 13 | 7 | 65,0 |
| იუტა | 14 | 9 | 60,9 |
| სან ანტონიო | 13 | 10 | 56,5 |
| მინესოტა | 9 | 13 | 40,9 |
| ვანკუვერი | 9 | 15 | 37,5 |
| დალასი | 5 | 18 | 21,7 |
| დენვერი | 4 | 20 | 9,1 |

წყნარი ოკეანის დივიზიონი

| | | | |
|---|---|---|---|
| სიეტლი | 19 | 5 | 79,2 |
| ლეიკერსი | 18 | 5 | 78,3 |
| ფინიქსი | 13 | 8 | 61,9 |
| პორტლენდი | 13 | 9 | 59,1 |
| საკრამენტო | 8 | 16 | 33,3 |
| გოლდენ სტეიტი | 5 | 16 | 23,8 |
| კლიპერსი | 4 | 20 | 16,7 |

ᲙᲠᲘᲕᲘ



# „ᲬᲘᲙᲘᲡ“ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲨᲐᲜᲡᲘ

ქართველი მოკრივის — მამუკა წიკლაურის შესახებ სექტემბერში ის გაუწყეთ, რომ იგი აგვისტოში თავისი მეგობრის გიორგი ქინქლაძის მიწვევით მანჩესტერში იმყოფებოდა და იქ პროფესიულ კრივში დამკვიდრებას ცდილობდა. მერე „წიკი“ სამშობლოში დაბრუნდა, ამჟამად კი კვლავ ინგლისში გასამგზავრებლად ემზადება. ამიტომაც შევხვდით და გავესაუბრეთ მამუკას, მაგრამ ვიდრე ინტერვიუს შემოგთავაზებდეთ, მოკლედ შეგახსენებთ მის მიერ განვლილ სპორტულ გზას.

მამუკა წიკლაური სხვა ქართველ მოკრივეთა მსგავსად თავდაპირველად სამოყვარულო კრივში გამოდიოდა, 1989 წელს 2 თვის მანძილზე სსრკ ჭაბუკთა ნაკრების კაპიტანი იყო, მერე საკავშირო პირველობაშიც მონაწილეობდა, სულ მოყვარულებში 102 შეხვედრა ჩაატარა და მის კბილა ბიჭებში პერსპექტიულ მოკრივედ ითვლებოდა, მაგრამ შემდგომ მიზეზთა გამო გარკვეული დროით ჩამოსცილდა აქტიურ სპორტს.

1994 წელს მან კარიერა განაახლა და ბედის საძებრად ჰოლანდიას, კერძოდ, როტერდამის სპორტულ კლუბს მიაშურა, სადაც იმავე წლის ნოემბერში კონტრაქტიც გააფორმა.

1997 წლამდე მამუკა წიკლაური ჰოლანდიაში ასპარეზობდა, წელს კი, უკვე ვთქვით, გიორგი ქინქლაძის მიწვევით ინგლისს ესტუმრა. გიოს სიტელი თანაკლუბელისა და მეგობრის ნიკ სამერბის ძმაკაცი სტივ ფოსტერი პროფესიონალი მოკრივე ყოფილა, ჰოდა, ნიკმაც გიოს მეშვეობით მამუკას აცნობა, ჩამოდი, იკრივე, თუ კარგად გამოხვალ, კონტრაქტზეც შეიძლება ლაპარაკი...

სექტემბრამდე „წიკი“ მანჩესტერში იმყოფებოდა და იქ ემზადებოდა. დილაობით ჯერ გიოს ვარჯიშს ესწრებოდა, მერე გიო მიჰყვებოდა კრივის დარბაზში და ახლა ის გახლდათ მაყურებელი. ბოლოს მეგობრების მცდელობამ გარკვეული შედეგიც გამოიღო: მამუკათი პრესისა და ტელევიზიის წარმომადგენლები დაინტერესდნენ. მისი ინგლისელი მწვრთნელის სტივ ფოსტერის აზრით, მამუკას სასწაულის მოხდენა და უდიდესი მიზნებისთვის თუ არა, ინგლისის ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლის უნარი ნამდვილად შესწევდა, ოღონდ ეს უნდა მომხდარიყო რამდენიმე არაოფიციალური, საჩვენებელი შეხვედრის შემდეგ. მამუკას ორი თვე მისცეს შინ მოსამზადებლად და ნოემბერში უკან დაბრუნება დაუთქვეს, მაგრამ ქინქლაძის ავარიაში მოხვედრამ მისი ინგლისში გამგზავრება მცირე ხნით გადადო.

ამასობაში მამუკა ინტენსიურად ვარჯიშობდა თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა დიღმის საწვრთნელ ბაზაზე, რომლის ხელმძღვანელობასთან საკმაო ხნის მეგობრული ურთიერთობა აკავშირებს. „დინამოს“ ბაზაზე წიკლაურს ავარჯიშებდა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი დავით ქავთარაძე, ფიზმომზადების ჩინებული სპეციალისტი იური სტადუხინიც იქ იყო. ამ ორს მამუკა ძლიერ ემადლიერება.

მამუკას მაშინ შევხვდით, როცა იგი ბანკ „კოდაკოში“ უკანასკნელ ორგანიზაციულ საკითხებს აგვარებდა.

— რადგან ნოემბერში ვერ მოხერხდა ჩემი გამგზავრება, გიომ უმჯობესად ჩათვალა, დეკემბრის მეორე ნახევარში ჩავსულიყავი მანჩესტერში და საშობაო შეხვედრებში მიმეღო მონაწილეობა — ეს, ჩემთვის ყველაზე კარგი რეკლამა იქნება, რადგან ამ შეხვედრებს უფრო მეტი მენეჯერი დაესწრება. ჯერჯერობით არ ვიცი, ვინ იქნება ჩემი მეტოქე, ყველაფერი იქ ჩასვლის შემდეგ გაირკვევა.

**— როგორ წარმოგიდგენიათ მოვლენების განვითარება?**

— არ დავიწყებ იმაზე ლაპარაკს, რომ ტრავმირებული ხელით მსოფლიოს ან ევროპის ჩემპიონი გავხდები, მაგრამ, მე მგონი, უკვე რაღაცას ნიშნავს, რომ ვიყავი პირველი ქართველი მოკრივე, რომელმაც ჰოლანდიაში პროფესიულ რინგზე იასპარეზა და გარკვეულ შედეგს მივაღწიე; ასევე ინგლისშიც გარკვეული ყურადღება მივიქციე. ჩემთვის ისიც საკმარისი იქნება, ინგლისის ჩემპიონი რომ გავხდე. რამდენადაც ვიცი, თუკი ინგლისის ჩემპიონატისთვის მომამზადებდნენ, მათი მხრიდან 500 ათას გირვანქა სტერლინგის ოდენობის ჰონორარზე იყო საუბარი.

**— ინგლისში საქართველოს სახელით გამოხვალთ?**

— თავის დროზე ჰოლანდიაში რომ დავრჩენილიყავი, დღეს ნორმალურად ვიდგებოდი ფეხზე, არავისთან დამჭირდებოდა ფინანსური დახმარების სათხოვნელად მისვლა, ჩემით გავუძღვებოდი ყველა ორგანიზაციულ საკითხს. მაგრამ თავიდანვე ჩემი მიზანი უცხოეთში საქართველოს სახელით გამოსვლა გახლდათ. ინგლისშიც ამავე მიზეზის გამო არ დავრჩი, მიუხედავად იმისა, რომ გიო ყველანაირ ხელშეწყობას და თანადგომას მპირდებოდა. შემეძლო დავრჩენილიყავი და იქვე მომზადებულიყავი, მაგრამ საქართველოში დაბრუნება ვამჯობინე, ვიფიქრე, ჩავალ, ჩემიანებს გავახარებ, დავანახებ, რომ საქართველოში არიან მოკრივეები, რომლებსაც არა მარტო სამოყვარულო, არამედ პროფესიულ კრივშიც შეუძლიათ რაიმის მიღწევა. მინდოდა, ჩემით რომელიმე ქართული ორგანიზაცია დაინტერესებულიყო, ეხელმძღვანელა, სპონსორობა გაეწია. ამის გამო ჩამოვბრუნდი, მაგრამ დავრწმუნდი, რომ, სამწუხაროდ, დღეს ჩვენში კრივი არავის აინტერესებს. რადგან საქართველოში პროფესიონალი მოკრივეების ასოციაცია არ არის, ჩვენ ყურადღებას ნაკლებად გვაქცევენ.

ამიტომაც ვფიქრობ, რომ პროფესიული კარიერის მანძილზე უკან დამბრუნებელი აღარ ვარ. ერთგულებასა და სარწმუნოებას არ შევიცვლი და სხვა რა გითხრათ, ცოტა კაცმა შენს თავზე თავადვე თუ არ იფიქრე, ისე ამ ცხოვრებაში არაფერი გამოდის.

**— თქვენს კვალზე დადგომის მსურველი თუ გეგულებათ?**

— მსურველი ბევრია, მაგრამ პროფესიულ კრივში მოხვედრა უაღრესად ძნელია. მაისში ჩემს მენეჯერთან შეთანხმებით დიდი საერთაშორისო ტურნირის ჩატარებას ვაპირებდი, რომელშიც ბელგიელი, ფრანგი, ჰოლანდიელი მოკრივეები მიიღებდნენ მონაწილეობას, აბა თავის გამოჩენის უკეთესი შესაძლებლობა ჩვენს მოკრივეებს სად მიეცემოდათ? საქმე იქამდე იყო მისული, რომ ბილეთებიც კი მქონდა დაჯავშნული, მაგრამ ყველაფერი ისევ ქართულმა „ბიზნესმა“ ჩაშალა — ჩემი იდეითა და ენერგიით სხვას სურდა ხელის მოთბობა, ამიტომაც ამ წამოწყებიდან არაფერი გამოვიდა.

**— ოდნავ გადავუხვიოთ ძირითად თემას: გიორგი ქინქლაძესთან როდიდან გაქვთ ურთიერთობა?**

— 1995 წლის აგვისტოში, როცა გიო ინგლისში იმყოფებოდა „სიტისთან“ კონტრაქტზე ხელის მოსაწერად, ტრაბზონში ვახლდი თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებს. იქ გიოც ჩამოფრინდა ინგლისიდან. მაშინ მას ჯერ კიდევ არ ვიცნობდი. ტრაბზონში ერთად ყოფნის მანძილზე ხან ცურვაში, ხანაც გამძლეობაში ვეჯიბრებოდით ერთმანეთს. რომ შეხედა, მონდომებული სპორტსმენი ვიყავი, ჩემი მდგომარეობა გულთან ახლოს მიიტანა. თანდათან ჩვენი მეგობრობა უფრო და უფრო გაღრმავდა.

**— ბოლოს რაიმეს ხომ არ დაამატებდით?**

— დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ყველას, ვინც მხარში დამიდგა: ჩემს სეხნიასა და მოგვარეს, ბანკ „კოდაკოს“ პრეზიდენტ მამუკა წიკლაურს, თბილისის „დინამოს“ ხელმძღვანელებს — მერაბ ჟორდანიასა და მერაბ რატიანს, ლერი სულაბერიძეს, რომელმაც თავის დროზე დინამოელებთან დამაკავშირა. ამჯერადაც გია იმნაძესთან ერთად სწორედ ლერი ხელმძღვანელობდა ჩემს ორგანიზაციულ საკითხებს.

P.S. მამუკამ ისიც გაგვანდო, რომ ძალიან დიდი სურვილი აქვს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგესთან ოთარ მიმინოშვილთან ერთად ჩამოაყალიბოს პროფესიონალ მოკრივეთა გუნდი, რომელიც უნივერსიტეტის სახელით იასპარეზებს — იქნებ მაშინ მაინც გამოჩნდეს სპონსორი, რომელიც გულიანად ჩაერთვება ამ მეტად მომგებიან საქმეში.

**ᲒᲝᲩᲐ ᲡᲐᲘᲗᲘᲫᲔ**

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

### გერმანიის ჩემპიონატი. ბუნდესლიგა. XX ტური
20 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| არმინია — კარლსრუე | 1,9 | 2,9 | 3,1 |
| ლევერკუზენი — შტუტგარტი | 1,8 | 2,9 | 3,4 |
| დუისბურგი — ბოხუმი | 1,5 | 3,1 | 5,0 |
| დორტმუნდი — შალკე | 1,5 | 3,0 | 5,3 |
| კაიზერი — კიოლნი | 1,2 | 4,2 | 8,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,2 |
| მიონხენგლადბახი — ჰერტა | 1,8 | 2,9 | 3,4 |
| ვოლფსბურგი — ბაიერნი | 3,2 | 2,8 | 1,9 |
| მიუნხენი — ვერდერი | 1,8 | 2,9 | 3,4 |
| ჰამბურგი — ჰანზა | 1,9 | 2,8 | 3,2 |

### გერმანიის ჩემპიონატი. II ბუნდესლიგა. გადადებული მატჩი
20 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| კარლ ცაისი — ფორტუნა | 1,8 | 2,9 | 3,4 |

### ინგლისის ჩემპიონატი. პრემიერლიგა. XIX ტური
20 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ასტონ ვილა — საუთჰემპტონი | 1,6 | 3,0 | 4,4 |
| ბლექბერნი — ვესტ ჰემი | 1,2 | 4,2 | 8,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,4 |
| დერბი — კრისტალ პალასი | 1,35 | 3,4 | 6,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,0 |
| ლიდსი — ბოლტონი | 1,2 | 4,2 | 8,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,4 |
| ლესტერი — ევერტონი | 1,3 | 3,6 | 6,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,0 |
| ლივერპული — ქოვენტრი | 1,1 | 5,3 | 10,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,2 | 3,5 |
| ნიუკასლი — მანჩესტერი | 2,4 | 2,8 | 2,3 |
| შეფილდი — ჩელსი | 2,5 | 2,8 | 2,2 |
| ტოტენჰემი — ბარნსლი | 1,35 | 3,4 | 6,0 |
| უიმბლდონი — არსენალი | 3,0 | 2,8 | 2,0 |

### ინგლისის ჩემპიონატი. I დივიზიონი. XXIII ტური
20 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბერი — შეფილდი | 3,8 | 3,0 | 1,7 |
| ქრიუ — სანდერლენდი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| სიტი — მიდლსბრო | 2,9 | 2,9 | 2,0 |
| ნორვიჩი — სტოკი | 1,7 | 2,8 | 4,2 |
| ნოტინგემი — სტოკპორტი | 1,25 | 4,0 | 7,0 |
| პორტ ვეილი — იფსვიჩი | 1,6 | 3,0 | 4,4 |
| პორტსმუთი — ჩარლტონი | 2,9 | 2,9 | 2,0 |
| ქუინზ პარკი — ბრედფორდი | 1,7 | 2,9 | 4,0 |
| რედინგი — ვულვერჰემპტონი | 2,9 | 2,9 | 2,0 |
| სვინდონი — ბირმინგემი | 1,5 | 3,1 | 5,0 |
| ტრანმერი — ოქსფორდი | 1,6 | 2,9 | 4,7 |
| ვესტ ბრომი — ჰადერსფილდი | 1,15 | 4,7 | 9,0 |

### საფრანგეთის ჩემპიონატი. XXI ტური
19 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბასტია — ლიონი | 1,7 | 2,9 | 4,0 |
| კანი — შატორუ | 1,7 | 3,0 | 3,8 |
| ოსერი — ბორდო | 1,8 | 2,9 | 3,4 |
| მარსელი — გინგამი | 1,2 | 4,2 | 8,0 |
| მონპელიე — ლანსი | 2,0 | 2,8 | 3,0 |
| სტრასბური — ტულუზი | 1,6 | 3,0 | 4,4 |
| რენი — პსჟ | 3,6 | 2,8 | 1,8 |

### იტალიის ჩემპიონატი. სერია A. XIII ტური
21 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბარი — პიაჩენცა | 1,7 | 2,9 | 4,0 |
| ბრეშა — რომა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| ფიორენტინა — ატალანტა | 1,4 | 3,2 | 6,0 |
| იუვენტუსი — ემპოლი | 1,15 | 4,7 | 9,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,2 | 3,0 |
| ლაციო — ვიჩენცა | 1,5 | 3,0 | 5,3 |
| მილანი — ბოლონია | 1,2 | 4,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 2,7 |
| პარმა — ლეჩე | 1,15 | 4,7 | 9,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,2 | 3,0 |
| სამპდორია — ნაპოლი | 1,3 | 3,6 | 6,5 |
| 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,4 |
| უდინეზე — ინტერი | 2,5 | 2,8 | 2,2 |

### იტალიის ჩემპიონატი. სერია B. XV ტური
21 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| დი სანგრო — ვენეცია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| კიევო — ანკონა | 1,5 | 2,9 | 5,6 |
| ლუკეზე — კალიარი | 2,4 | 2,6 | 2,4 |
| პადოვა — ფ. ანდრია | 2,1 | 2,8 | 2,8 |
| პერუჯა — ფოჯა | 1,25 | 3,8 | 7,5 |
| რავენა — მონცა | 1,6 | 2,9 | 4,7 |
| რეჯანა — ვერონა | 2,3 | 2,7 | 2,5 |
| რეჯინა — პესკარა | 1,6 | 2,9 | 4,7 |
| სალერნიტანა — ტორინო | 1,7 | 2,8 | 4,2 |
| ტრევიზო — ჯენოა | 1,7 | 2,9 | 4,0 |

### ესპანეთის ჩემპიონატი. I დივიზიონი. XVIII ტური
21 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| კომპოსტელა — დეპორტივო | 1,9 | 2,8 | 3,2 |
| სპორტინგი — ვალენსია | 2,8 | 3,0 | 2,0 |
| ტენერიფე — სოსიედადი | 2,4 | 2,6 | 2,4 |
| მალიორკა — სალამანკა | 1,5 | 2,9 | 5,6 |
| ბარსელონა — ატლეტიკო | 1,6 | 2,9 | 4,7 |
| რასინგი — ბეტისი | 2,3 | 2,7 | 2,5 |
| რეალი — ესპანიოლი | 1,5 | 2,9 | 5,6 |
| ვალიადოლიდი — სარაგოსა | 2,0 | 2,8 | 3,0 |
| ბილბაო — მერიდა | 1,25 | 3,8 | 7,5 |
| სელტა — ოვიედო | 1,5 | 3,0 | 5,3 |

### ესპანეთის ჩემპიონატი. II დივიზიონი. XX ტური
21 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ნუმანსია — სერესი | 1,7 | 2,8 | 4,2 |
| ელჩე — ხაენი | 1,6 | 2,9 | 4,7 |
| ესტრემადურა — ორენსე | 1,9 | 2,8 | 5,0 |
| ბადახოსი — ლეიდა | 2,4 | 2,6 | 2,4 |
| ლოგრონიესი — ლას პალმასი | 2,7 | 2,7 | 2,2 |
| სევილია — ეიბარი | 1,6 | 2,9 | 4,7 |
| ატლეტიკო B — ალბასეტე | 1,6 | 2,9 | 4,7 |
| ლეგანესი — ტოლედო | 1,6 | 2,9 | 4,7 |
| ალავესი — ვილიარეალი | 1,5 | 2,9 | 5,6 |
| ლევანტე — რაიო | 4,2 | 3,1 | 1,6 |
| ოსასუნა — ერკულესი | 2,0 | 2,8 | 3,0 |

### პორტუგალიის ჩემპიონატი. XIV ტური
21 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| სალგეირუში — მარიტიმუ | 1,7 | 2,9 | 4,0 |
| ბენფიკა — ვარზიმი | 1,2 | 4,2 | 8,0 |
| ბოავიშტა — პორტუ | 4,2 | 3,1 | 1,6 |
| გიმარაეში — ამადორა | 1,4 | 3,3 | 5,6 |
| შავეში — ლეცა | 2,2 | 2,8 | 2,6 |
| რიუ ავე — ბელენენსეში | 1,35 | 3,3 | 6,5 |
| ფარენსე — კამპომაიორენსე | 1,8 | 2,8 | 3,6 |
| სპორტინგი — აკადემიკა | 1,2 | 4,2 | 8,0 |
| ბრაგა — სეტუბალი | 1,4 | 3,3 | 5,6 |

### ჰოლანდიის ჩემპიონატი.
19 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| სიტარდი — როდა | 2,0 | 2,9 | 2,9 |

20 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| მაასტრიხტი — უტრეხტი | 2,9 | 2,9 | 2,0 |
| ნაიმეგენი — სპარტა | 2,0 | 2,9 | 2,9 |
| გრააფსხაპი — გრონინგენი | 1,3 | 3,6 | 6,5 |

21 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ვიტესი — ტვენტე | 1,6 | 3,0 | 4,4 |
| ვოლენდამი — ბრედა | 2,3 | 2,8 | 2,4 |
| ფეიენოორდი — ტილბურგი | 1,6 | 3,0 | 4,4 |
| აიაქსი — ეინდჰოვენი | 1,25 | 3,8 | 7,5 |

### ბელგიის ჩემპიონატი. XVII ტური
20 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| სტანდარდი — გენტი | 1,7 | 3,0 | 3,8 |
| მუსკრონი — გენკი | 2,4 | 2,8 | 2,3 |
| შარლერუა — ლიერსი | 2,3 | 3,0 | 2,3 |
| ლოკერენი — მოლენბეკი | 1,6 | 3,2 | 4,0 |
| ანდერლეხტი — ბევერენი | 1,2 | 4,2 | 8,0 |
| ლომელი — ვესტერლო | 1,3 | 3,8 | 6,0 |
| სტ. ტრიუდენი — ბრიუგე | 4,2 | 3,1 | 1,6 |

21 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ეკერენი — ანტვერპენი | 1,2 | 4,4 | 7,5 |
| აალსტი — ჰარელბეკი | 2,3 | 3,0 | 2,3 |

### შოტლანდიის ჩემპიონატი. XVIII ტური
20 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| სელტიკი — ჰიბერნიანი | 1,15 | 4,7 | 9,0 |
| დანდი — სტ. ჯონსტონი | 1,5 | 3,1 | 5,0 |
| ჰართსი — რეინჯერსი | 3,1 | 2,9 | 1,9 |
| კილმარნოკი — აბერდინი | 1,8 | 2,8 | 3,6 |
| მოზერველი — დანფერმლაინი | 1,8 | 2,8 | 3,6 |

### თურქეთის ჩემპიონატი. XVII ტური
19 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| სამსუნსფორი — ქოჯაელისფორი | 1,6 | 3,0 | 4,4 |

20 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ტრაბზონსფორი — ბურსასფორი | 1,2 | 4,2 | 8,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 2,7 |
| ბეშიქთაში — დარდანელსფორი | 1,1 | 5,3 | 10,0 |
| 0:1 | 1,3 | 3,4 | 4,4 |
| გენჩლერბირლიგი — ფენერბაჰჩე | 7,0 | 4,0 | 1,25 |

21 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ქაისერისფორი — ისთანბულსფორი | 3,6 | 2,8 | 1,8 |
| გალათასარაი — ქარაბუქსფორი | 1,15 | 4,7 | 9,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,2 | 3,5 |

### ტურში გატანილი გოლები:

| | | |
|---|---|---|
| გერმანია (მე-20). | 25 და ნაკლები — 1,9; | 27 და მეტი — 1,9 |
| ინგლისი (მე-19). | 25 და ნაკლები — 1,9; | 27 და მეტი — 1,9 |
| იტალია (მე-13). | 23 და ნაკლები — 1,9; | 25 და მეტი — 1,9 |
| ესპანეთი (მე-18). | 25 და ნაკლები — 1,9; | 27 და მეტი — 1,9 |

## CROCO-2

| ტირაჟი №92 | ტირაჟი №93 |
|---|---|
| 1. არმინია — კარლსრუე | 1. ბარი — პიაჩენცა |
| 2. ლევერკუზენი — შტუტგარტი | 2. ბრეშა — რომა |
| 3. მიონხენგლადბახი — ჰერტა | 3. უდინეზე — ინტერი |
| 4. ვოლფსბურგი — ბაიერნი | 4. კომპოსტელა — დეპორტივო |
| 5. ჰამბურგი — ჰანზა | 5. სპორტინგი — ვალენსია |
| 6. ნიუკასლი — მანჩესტერი | 6. ტენერიფე — სოსიედადი |
| 7. შეფილდ უენსდეი — ჩელსი | 7. რასინგი — ბეტისი |
| 8. უიმბლდონი — არსენალი | 8. ვალიადოლიდი — სარაგოსა |

მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ტირაჟში მოცემული 8 მატჩის მხოლოდ ძირითადი დროის შედეგი. მოგებულად ჩაითვლება ბილეთი, რომელშიც გამოცნობილია 8 მატჩის შედეგი. მინიმალური მოგება 50 ლარია, მაქსიმალური კი — 1000 ლარი. 7 შედეგის გამოცნობისთვის მოგება ფიქსირებულია — 5 ლარი. ერთ ბილეთში შევსებული ვარიანტების რაოდენობა შეზღუდული არ არის.
თუ ტირაჟში შეტანილი რომელიმე მატჩი არ ჩატარდა, ჩაიშალა ან შეიცვალა მოედანი, ტირაჟი გაუქმებულად ცხადდება და მოთამაშეებს თანხა უბრუნდებათ.

ერთი ვარიანტის ღირებულებაა 1 ლარი.
მოგების ფონდს ემატება JACK POT

ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათის და ხუთშაბათის გარდა.
თბილისში — კინოთეატრ „რუსთაველის" ფოიეში,
ფურცელაძის ქუჩის მხრიდან 13-დან 16 საათამდე;
ქუთაისში — ტელერადიოკომპანია „ივერიონის" შენობაში, პუშკინის ქუჩა 16;
ფსონების შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჰოკეი

### რეგულარული ჩემპიონატი

**დალასი — ბუფალო 8:4**

**შაიბები: ლანგებრუნერი 15(1:0), შატანი 14(1:1), ნუინდაიკი 17(2:1), საიდორი 4(3:1), საიდორი 5(4:1), ლანგებრუნერი 16(5:1), პოლცინგერი 7(5:2), ადამსი 7(6:2), პლანტი 6(6:3), ვერბიკი 13(7:3), ჩამბერსი 1(8:3), პეკა 6(8:4)**

ორივე გუნდი ფხიზელ, კონტრშეტევებზე აგებულ თამაშს ამჯობინებს, ამიტომაც არის საოცარი მატჩის ასეთი შედეგი. მით უფრო, რომ დალასმა ორი კვირის წინ წამყვანი ფორვარდი მოდანო დაკარგა და ამან ბოლო სამ თამაშში ორჯერ მშრალზე დატოვა. გუნდის მწვრთნელი კენ ჰიჩკოკი მეტად ხარობდა: დალასმა ბრწყინვალედ გამოიყენა მეტოქის შეცდომები და სანამ „სეიბრსი" უხეშობდა და იმასღა ფიქრობდა, როგორმე ჩხუბი აეტეხა, „ვარსკვლავებს" გოლები გაჰქონდათ. მოდანოს არყოფნაში პლეიმეიკერობა მცველმა ზუბოვმა იტვირთა და მისი ოთხი პასი ნათლად მეტყველებს იმაზე, რაოდენ კარგად შეასრულა ეს მოვალეობა. ზუბოვის პარტნიორებმა — ლანგებრუნერმა (2+1,16) და საიდორმა (2+1,5) პერსონალური რეკორდები დაამყარეს, ხოლო დალასმა 1995 წლის 6 მარტის შემდეგ პირველად გაიტანა 8 გოლი. ბოლო ხანს კარგ ფორმაში მყოფი ბუფალოს გოლკიპერი ჰაშეკი „ვარსკვლავებმა" გააცამტვერეს და პირველი ოთხი გოლის შემდეგ ჩეხმა შეცვლა მოითხოვა.

**სან ხოსე — დეტროიტი 5:1**

**შაიბები: აიეფრეიტი 1(1:0), ნოლანი 5(2:0), დრეიპერი 7(2:1), ფრიზენი 15(3:1), მარლო 6(4:1), კრეიკენი 7(5:1)**

1994 წლის ავადსახსენებელი პლეი-ოფის შემდეგ, როცა აშკარა ფავორიტი დეტროიტი სენსაციურად დამარცხდა სან ხოსესთან სერიაში, „წითელფრთიანები" სასტიკად იყრიან ჯავრს კალიფორნიელებზე და მათი ნებისმიერი ორთაბრძოლა „ზვიგენთათვის" სავალალოდ მთავრდება. დეტროიტი, ალბათ, ახლაც აპირებდა ანგარიშსწორებას, მაგრამ დაავიწყდა, რომ სან ხოსე, თუ თამაში წაუვიდა, მეტად სახიფათო გუნდია. ამიტომაც იყო, სტუმრები დასაწყისში სრულიად მშვიდად რომ გამოიყურებოდნენ, რისთვისაც დაისაჯნენ კიდეც — მას შემდეგ, რაც დრეიპერმა მოედნის შუაგულში შაიბა აჩუქა სანხოსელ ნოლანს, ანგარიში უკვე 2:0 გახდა. მართალია, სულ მალე დრეიპერმა გამოასწორა შეცდომა, მაგრამ კალიფორნიელები მადაზე მოვიდნენ: დებიუტანტმა მარლომ ვეტერან ლოურის დიაგონალური პასი გამოიყენა. ასეთი ანგარიში მეტად უჩვეულო იყო დეტროიტისთვის, მაგრამ სტუმრებმა ველარ შეძლეს მათი ყოფილი პარტნიორის, შარშანდელი პლეი-ოფის ტრიუმფატორის მაიკ ვერნონის კარის დალაშქვრა.

# მეფეები მაგრად შეახურეს

**15 დეკემბერი. მონრეალი — ფილადელფია 1:3, ფლორიდა — ბოსტონი 2:6, სენტ ლუისი — ოტავა 1:3, დალასი — ბუფალო 8:4, კოლორადო — ტორონტო 3:2, ვანკუვერი — ლოს ანჯელესი 7:0.**

**16 დეკემბერი. კაროლინა — ოტავა 2:1, პიტსბურგი — ტამპა 1:1, ნიუ ჯერსი — რეინჯერსი 4:3, ვაშინგტონი — აილენდერსი 2:2, კალგარი — ჩიკაგო 4:3.**

ვანკუვერს, ბოლოს და ბოლოს, მობეზრდა წაგებები და მთელი რისხვა ლოს ანჯელესს დაატეხა თავს. უხეირო სერიის შემდეგ კანადელთა კარში მაკლინის ნაცვლად ლატვიელი ირბე დადგა და პირველსავე წუთებზე რამდენიმე სახიფათო დარტყმა მოიგერია, რამაც მისი პარტნიორები გაამხნევა და ვანკუვერის ფორვარდებმა მწვავე შეტევებს უხშირეს. ბურეს პირველი ორი გოლი ისე გავიდა, „მეფეთა" მცველებს წინააღმდეგობა სრულიად არ გაუწევიათ. მოგებას მოწყურებული ვანკუვერი ბოლომდე არ მოეშვა მეტოქეს და კატასტროფულად წააგებინა. მატჩის შემდეგ ლოსანჯელესელები მწვრთნელმა მაგრად შეახურა, პაველ ბურემ კი ამ სეზონში მე-3 ჰეთ-თრიქი შეასრულა.

ცვალა. ამ ორთაბრძოლაში უპირატესობა ძალისმიერი „მფრინავების" მხარესაა, რომლებიც მუდამ ჩაგრავენ კომბინაციური თამაშის მოყვარულ კანადელებს. ამჯერად მონრეალი ფრესთან ახლოს იყო — მას შემდეგ, რაც პროსპალისა და ლინდროსის (14) ორი შაიბა გაუშვა, არ დაბნეულა და მეტოქე გვარიანად აწვალა. ვინ იცის, როგორ დამთავრდებოდა ეს მატჩი, მეორე პერიოდში, როცა ანგარიში მინიმალური იყო, მოედანზე დიდი შეხლა-შემოხლა რომ არ ამტყდარიყო, რის შემდეგაც მასპინძლებს ოთხი მცველიღა დარჩათ და ამან კანადელთა შემტევი სულისკვეთება დააცხრო.

ფლორიდამ ბოსტონთან შეხვედრაში ანგარიში გახსნა, მაგრამ შემდეგ ვერაფერი გააწყო სტუმართა დონატო-ელისონ-კარტერის სამეულის წინააღმდეგ. გარემარბებმა თითო გოლი შეაგდეს, ხოლო ახალგაზრდა ცენტრი, ბოლო ხანს გუნდის აშკარა ლიდერი რომ გახდა, ახლაც კარგად გაუძღვა პარტნიორებს.

კალგარის უკანასკნელ წლებში დასჩემდა: სტარტზე უსუსურად ასპარეზობს, შემდეგ კი ნელ-ნელა მოდის გონს. შარშაწწინ „ფლეიმსს" გაუმართლა, ბოლო სეზონში კი ძალიან ბევრი ქულა დაკარგა და პლეი-ოფის მიღმა დარჩა. ვნახოთ, წელს რას მოახერხებენ „ალები", ისე, ბოლო ოთხი მატჩი მოიგეს. ამჯერად მათ ჩიკაგო იმსხვერპლეს, თანაც კანადელები 1:3 აგებდნენ, მაგრამ მოინდომეს და მატჩის ბედი შეატრიალეს. გადამწყვეტი გოლი ოვერტაიმში ნიუულანდერმა (9) შეაგდო, ხოლო კალგარის კაპიტანი ფლერი (1+1,13) ღირსეულ უმატებს.



ოტაველთა მეკარე ტაგნატის კარი საფრთხეშია

ოტაველმა იაშინმა ორი გოლით მოაგებინა თავისიანებს სენტ ლუისთან შეხვედრაში, მაგრამ ამ წარმატებას „სენატორებმა" კაროლინასთან მარცხი მიაყოლეს: კვლავ დაშავდა კანადელთა ლიდერი ალფრედსონი, რომელმაც შესაძლოა ოლიმპიადაც გამოტოვოს.

სახელოვანმა რეინჯერსმა კრიზისს ვერაფრით დააღწია თავი. ჩემპიონატის ერთ-ერთ ლიდერს — ნიუ ჯერსის ნიუიორკელებმა ღირსეული წინააღმდეგობა გაუწიეს და ქულასაც იმსახურებდნენ, მაგრამ „ეშმაკთა" დებიუტანტმა სურეიმ ნჰლ-ში თავისი პირველი გოლით „რეინჯერები" ხელცარიელი გაისტუმრა შინ.

ბოლო ორი წლის განმავლობაში მონრეალისა და ფილადელფიის პაექრობა მეტად პრინციპულია. ეს ამ ორ გუნდს შორის მომხდარმა დიდმა გაცვლამ გამოიწვია — მაშინ ფილადელფიამ თავისი ფორვარდი რექი ექვს (!) კანადელში გა-

ვაშინგტონისა და აილენდერსის მატჩში მოსალოდნელი ჩეხურ-სლოვაკური დუელი არ გამართულა. გუნდების ლიდერთაგან მხოლოდ სლოვაკმა ბონდრამ ივარგა, რომელმაც შედეგიანი პასი გააკეთა და ამ სეზონის სარეკორდო სერია 15 მატჩამდე გაზარდა.

**სამველ ლარიბიანი**

## ჩოგბურთი

# რაებსა ჩმახავ, ბებერო?!

სიდნეი. ავსტრალია. „ტელსტრა სმარტ ჩემპიონზ". ვეტერანთა ლიგა. საპრიზო ფონდი 150 ათასი დოლარი

ჩოგბურთის ვეტერანთა ლიგა 1993 წელს ჩამოყალიბდა და თავიდან მხოლოდ სამი ტურნირისაგან შედგებოდა, მაგრამ გასული წლების თუგინდ ლიპდადებულ ჩემპიონთა თამაშის ნახვის მსურველი იმდენი აღმოჩნდა, რომ 1997-ში იგი უკვე 19 პირველობას ითვლიდა, რომლებიც ხუთი სხვადასხვა კონტინენტის 10 ქვეყანაში ჩატარდა. სიდნეის ტურნირში ავსტრალიის ღია პირველობის ორი ყოფილი ჩემპიონი — სამხრეთაფრიკელი იოჰან კრიკი და არგენტინელი გილერმო ვილასი, ასევე 1990 წლის როლან გაროსის ეკვადორელი გამარჯვებული — ანდრეს გომესი ასპარეზობდა, მაგრამ ყურადღების ცენტრში, და სავსებით დამსახურებულადაც, ამერიკელი ჯიმი კონორსი მოექცა. კონორსს ჩოგბურთელ კაცებს შორის ყველაზე მეტი — 130 ტურნირი მოუგია. სარეკორდოდ, ზედიზედ ხუთი წლის განმავლობაში დაამთავრა სეზონი მსოფლიოს ნომერ პირველ ჩოგნად და ახლა ვეტერანთა ლიგაშიც მძვინვარებს — მისი შექმნის დღიდან პირველობას არავის უთმობს და აქაც ყველაზე მეტ ტურნირში გაიმარჯვა. პირველ წრეში ამერიკელმა მასპინძელი ჯონ ფიცჯერალდი დაამარცხა — 4:6, 6:0, 10:5, ნახევარფინალში კი თანამემამულე ტომ უილკინსონს პირველ სეტში 5:2 უპირატესობა გაუბათილა და 7:6 (7:0), 6:3 მოუგო. მეორე ნახევარფინალში ინგლისელმა ჯონ ლოიდმა ამერიკელის მთავარი კონკურენტი იოჰან კრიკი დაამარცხა 7:6 (7:3), 6:1 და ამით კონორსს ზედიზედ მეოთხე წელია, ვეტერანთა პირველი ჩოგნობა გაუნაღდა. აქამდე ლოიდს ამერიკელთან ერთად ერთი მატჩი მოეგო და ისიც მეტოქის ტრავმის გამო. სასწაული არც ახლა მოხდა — კონორსმა ვეტერანთა ლიგაში 29-ე ტურნირი მოიგო — 3:6, 6:2, 10:7.




ჯიმი კონორსი ავსტრალიაში აღარ ჩავა

ამერიკელი ყურადღების ცენტრში მარტო კარგი თამაშის გამო როდი მოექცა. ავსტრალიაში ჩასვლისთანავე მან, თანამემამულე ჯონ მაკინროის მსგავსად, თანამედროვე ჩოგბურთი კრიტიკის ქარ-ცეცხლში მოაქცია, ძალზე გადატვირთული კალენდარია, თან ახლანდელი სპორტსმენები უინტერესოდ თამაშობენ, ბევრი ფულისგან გაზულუქდნენო.

კონორსის ნათქვამით მწვანე კონტინენტზე მაინცდამაინც კმაყოფილნი არ დარჩენილან და ადგილობრივმა „დეილი ტელეგრაფმა" მეორე დღესვე დიდი სტატია გამოაცხო სათაურით — „ჯიმი, წადი შინ, შენ ჩვენ არ გვჭირდები", სადაც ამერიკელს კლოუნი, ბატი და გადაჯიშებული უწოდა, მის ნათქვამს კი ბევრი კაცის მონაჩმახი. ამისთანა კომენტარი ვის არ გაანაწყენებდა, ჰოდა, კონორსმაც დაიქადნა, ავსტრალიაში აღარასოდეს ჩამოვალო. ATP-ის მსგავსად ვეტერანთა ლიგაც ატარებს თავის მსოფლიოს ჩემპიონატს, რომელშიც 8 საუკეთესო 1998 წლის 2-8 მარტს ფლორიდაში გაეჯიბრება ერთმანეთს.

**ავთანდილ სვანიძე**

### ვეტერანთა ლიგა

| კლასიფიკაცია | | 1997-ში დაგროვილი დოლარები | |
|---|---|---|---|
| 1. ჯიმი კონორსი (აშშ) | 2350 | 1. ჯიმი კონორსი | 385 000 |
| 2. იოჰან კრიკი (სამხრეთ აფრიკა) | 2225 | 2. ჯონ მაკინროი | 196 000 |
| 3. ბიორნ ბორგი (შვედეთი) | 2065 | 3. იოჰან კრიკი | 166 250 |
| 4. ჯონ მაკინროი (აშშ) | 1875 | 4. ბიორნ ბორგი | 144 500 |
| 5. ანდრეს გომესი (ეკვადორი) | 1670 | 5. ანდრეს გომესი | 141 750 |
| 6. მანსურ ბაჰრამი (ირანი) | 945 | 6. ტიმ უილკინსონი | 101 500 |
| 7. ტიმ უილკინსონი (აშშ) | 825 | 7. ჯონ ლოიდი | 87 000 |
| 8. ჯონ ლოიდი (ინგლისი) | 780 | 8. იანიკ ნოა | 63 500 |
| 9. იანიკ ნოა (საფრანგეთი) | 750 | 9. მანსურ ბაჰრამი | 67 500 |
| 10. გილერმო ვილასი (არგენტინა) | 620 | 10. ჯონ ფიცჯერალდი (ავსტრალია) | 31 500 |

## ხელბურთი

# ხალხო, ნუ დალევთ!



გერმანელის მიერ გამეტებული დანიელი გულშემატკივარი

ბერლინში დასრულებულ ხელბურთელ ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატზე ორი დანიელი გულშემატკივრის სიკვდილის შემდეგ გერმანიის სპორტის კავშირის პრეზიდენტმა სპორტულ ღონისძიებებზე ალკოჰოლიანი სასმელების გაყიდვის აკრძალვა მოითხოვა. მანფრედ ფონ რიჰტოფენმა რადიოინტერვიუში განაცხადა, რომ მაყურებელთა სრული უსაფრთხოება შეუძლებელი კია, მაგრამ სპირტიანი სასმელების გაყიდვა აუცილებლად უნდა შეიზღუდოსო: „მოხარული ვიქნებოდი, თუ სტადიონებსა და სხვა სპორტულ ობიექტებზე ალკოჰოლს აკრძალავდნენ, თუმცა არც ამით გამოირიცხება იმის შესაძლებლობა, რომ რომელიმე შერეკილმა მსგავსი რამ კიდევ ჩაიდინოს. კარგი იქნებოდა, შესასვლელებში ლითონის საგნების ჩხრეკა მოგვეწყო, მაგრამ ხალხს ვაშლის სათლელი პატარა დანების შეტანას ხომ ვერ დაუშლი."

გერმანიის პოლიციამ დააკავა 48 წლის გერმანელი — დანია - რუსეთის ნახევარფინალური მატჩის დროს ორი დანიელი გულშემატკივრის მკვლელობაში მთავარი ეჭვმიტანილი. პოლიციის ცნობით, მკვლელიც და მოკლულებიც ნასვამები იყვნენ.

გერმანიაში სპორტულ შეჯიბრებათა დროს მომხდარი რამდენიმე ინციდენტის მიუხედავად ალკოჰოლისადმი საკმაოდ მოწყალენი დარჩნენ. 1993 წელს ჰამბურგში ჩოგბურთელი მონიკა სელეში დაჭრეს, მომდევნო წელს კი კიდევ ერთმა შერეკილმა კინაღამ ფეხბურთელი ოლივერ მიოლერი იმსხვერპლა. თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ ამ შემთხვევებს ალკოჰოლთან კავშირი არ ჰქონია.

## ჭადრაკი

გრონინგენში (ჰოლანდია) პრეტენდენტთა ტურნირზე კიდევ ორი ტური გათამაშდა. მე-6 ტურში ჩიბურდანიძე ყაიმზე შეუთანხმდა პენგს (ჩინეთი), კრამლინგი (შვედეთი) — მსოფლიოს ექსჩემპიონ სე ჟუნს (ჩინეთი). იოსელიანმა დაამარცხა მარიჩი (იუგოსლავია), გალიამოვამ (რუსეთი) — კახიანი (გერმანია), არახამიამ — გურიელი.

# ჩვენები და რუსი

მე-7 ტურში პირველი მარცხი იწვნია მანამდე ერთპიროვნულმა ლიდერმა ალისა გალიამოვამ. მას სე ჟუნმა მოუგო. ჩიბურდანიძემ და იოსელიანმა ხელიდან არ გაუშვეს შანსი, შესაბამისად, მარიჩი და კახიანი დაამარცხეს და ლიდერს დაეწივნენ. ამავე ტურში გურიელმა მოუგო კრამლინგს. არახამია და პენგი დაზავდნენ.

შვიდი ტურის შემდეგ ტურნირს სამნი ლიდერობენ: მაია ჩიბურდანიძე, ნანა იოსელიანი და ალისა გალიამოვა — 5-5 ქულა. მათ ნახევარი ქულით ჩამორჩება ჩინელი სე ჟუნი.

ვაჟთა ტურნირში აზმაიფარაშვილმა დაამარცხა ბულგარელი ალექსანდროვი 1,5-0,5 და მომდევნო წრეში რუს კრასენკოვს შეხვდება, რომელიც აქ პოლონეთის სახელით ასპარეზობს.


**იყიდება**

61 სმ დიაგონალის ფერადი ნახევარგამტარებიანი ტელევიზორი „რუბინი-ც281" კარგ მდგომარეობაში, დეციმეტრული და პალ-სეკამის ბლოკებით. ფასი — 160 ლარი.

**დარეკეთ: 95-22-56 საღამოს საათებში, იკითხეთ სანდრო.**



**კომპიუტერზე მუშაობის შესწავლის მსურველთა საყურადღებოდ!**

განათლების სამინისტროს თბილისის ინფორმატიკის სასწავლო-მეთოდური ცენტრი „მზიური" გიწვევთ პერსონალური კომპიუტერის შემსწავლელ კურსებზე

თქვენ შეისწავლით MS Office პაკეტის გამოყენებას თანამედროვე ოფისში

- თანამედროვე პერსონალური კომპიუტერები და კვალიფიციური პედაგოგები
- საერთაშორისო სტანდარტის სასწავლო პროგრამები და მეთოდიკა
- ინტერნეტის საუკეთესო სერვისი World Wide Web
- სერთიფიკატი, რომელიც გზას გაგიხსნით პრაქტიკული სამსახურისაკენ

მისამართი: ი.ჭავჭავაძის I ჩიხი, №37

(„მზიურის" ტერიტორიაზე, ჩოგბურთის კორტებთან)

ტელ: 29-48-61, 23-53-17, 29-48-69 ფაქსი: 29-49-61

# თხილამურობა

## „ლა ბომბას“ გედის სიმღერა

სესტრიერე ფრანგული ვალდიზერის სამეზობლოში, იტალიასთან საზღვრის გადაღმაა. სავოიაში მთელი კვირა ავდარი რომ იდგა, მსოფლიო თასის სამი ეტაპი გაცდა. ამის მერე რა გასაკვირია, თუ ორშაბათს, წლევანდელი, უკვე გამართული მსოფლიო პირველობის ბინაზეც ღამიდან ისე ბარდნიდა, რომ საღამოს, ხელოვნურ-განათებიანი სლალომი კინაღამ ჩაშალა.

**30** წლის ალბერტო ტომბასთვის სესტრიერე განსაკუთრებული ადგილია. ათი წლის წინ „ლა ბომბამ“ სწორედ იქ მოიგო კარიერის პირველი სლალომი. ამჯერად ვეტერანი იტალიელის იქ სრიალი კიდევ ორმხრივ იყო საგულისხმო: ერთი, რომ ალბერტო გაისად სპორტიდან მიდის და საყვარელ, კარდაჭარის ტრასაზე უკანასკნელად ასპარეზობდა.

მეორეც, შაბათს კუჭის კიბომ **33** წლისა იმსხვერპლა ფიატ-ის საავტომობილო იმპერიის ტახტის მემკვიდრედ შეგულვებული ჯოვანი ანიელი, ვინაც თხილამურობის დიდი ტრფიალი და ტომბას დოსტიც იყო: ჯოვანისა და ალბერტოს **1980**-იან წლებში ერთად მოეხადათ სამხედრო ბეგარა და მას აქეთ ერთმანეთს ხშირად მოიკითხავდნენ ხოლმე. ამას თუ იმასაც დავურთავთ, რომ სესტრიერე მუსოლინის ხანაში სწორედ ანიელებმა აქციეს სათხილამურო კურორტად და კიდევ იმას, რომ გარდაცვალებამდე სამი თვით ადრე ჯოვანი მამა შეიქნა, მაშინ არ გაგვიკვირდება, თუ ტომბა გედის სიმღერას განსვენებული მეგობრის ხსოვნას მიუძღვნიდა.

ხალხი, რა თქმა უნდა, დიდი იტალიელის მხარეს იყო, მაგრამ მოიგო არა მან, არამედ ალბერვილის **1992** წლის ოლიმპიადის ჩემპიონმა, **31** წლის იაგემ, ვისთვისაც ეს გამარჯვება მსოფლიო თასზე ოდენ მეოთხეა. ფინ-კრისტიანმა ორივე ცდა სუფთად ისრიალა, პირველის შემდეგ კი მესამე შედეგი ქონდა.

ლიდერობდა სლოვენი იურე კოშირი. მეორე ადგილზე სლალომის მსოფლიო თასის მფლობელი სიკორა იყო — იურესთან **57** მეასედს აგებდა, ტომბას კი მე-**20** შედეგი ქონდა. და მაინც, მეორე ცდა ალბერტომ ტრადიციულად უკეთ ჩაათავა და მეოთხე პოზიციამდე აღზევდა.

ფინიშზე ტომბა ახალ ნაგაზს მიესიყვარულა და თქვა, რომ ნაგანოს ოლიმპიადაზე გამარჯვება ძალიან სურს. პირველ ცდაზე იმიტომ ვერ გავახერხე საკადრისი შედეგი, რომ ყინულის მცირე ნატეხმა თხილამური გამიკაწრაო, — მიზეზის დაძებნა არც ამჯერად გაჭირვებია „ლა ბომბას“.

ტომბას მეორე ცდა საუკეთესო იყო, რისი წყალობითაც ვეტერანი კარგა ხანს ლიდერობდა. მას პირველმა ნორჩმა ბურაასმა აჯობა. მერე იაგეს ჯერი დადგა. მის შემდეგ სიკორამ მაგრად შეუბერა, მაგრამ ფინიშთან წონასწორობა დაკარგა და გვარიანად იზარალა; მანამდეც კინაღამ ორჯერ გავარდა ტრასიდან.

რიგმა ბოლოს კოშირს მოუწია, მაგრამ კაცს, ვინაც ლილეჰამერის **1994** წლის ოლიმპიადის შემდეგ კვარცხლბეკზე ვერაფრით მოხვედრილიყო, კარი გამორჩა და გავარდა.

გამარჯვებულმა ნორვეგიელებმა წარმატება მარტივად ახსნეს — თოვლი და პროჟექტორების შუქი ხომ ჩვენი მშობლიური სტიქიააო.

ირაკლი ნინუა

**სესტრიერე (იტალია)**

15.12. ვაჟთა სლალომი: 1. ფინ-კრისტიან იაგე (ნორვეგია); 2. თომას სიკორა (ავსტრია) ჩამორჩა ნამის 34 მეასედით; 3. ჰანს-პეტერ ბურაასი (ნორ) 42; 4. ალბერტო ტომბა (იტალია) 62; 5. მარტინ ჰანსონი (შვედეთი) 81; 6. ჟოელ შენალი (საფრანგეთი) 116; 7. მიხაელ ფონგრენიგენი (შვეიცარია) 117; 8. ლასე ხიუსი (ნორვ) 138

სეზონის ორი სლალომის ჯამი: იაგე 160 ქულა; თომას შტანგასინგერი (ავს) 113; ბურაასი 100; ფონგრენიგენი 81; სიკორა და კრისტინ ბიორნსონი (ისლანდია) 80

სეზონის 9 ეტაპის ჯამი: ჰერმან მაიერი (ავს) 429 ქულა; შტეფან ებერჰარტერი (ავს) 346; ფონგრენიგენი 310; ხეტილ-ანდრე ომოდტი (ნორ) 297; იოზეფ შტრობლი (ავს) 276; ანდრეას შიფერერი (ავს) 221; სტივ ლოხერი (შვეიც) 199; ხიუსი 182; ჰანს კნაუსი (ავს) 175; იაგე 168

გუშინ ვალდიზერში ქალთა დაშვება ისევ მოიგო მსოფლიო თასის ლიდერმა კატია ზაიცინგერმა (გერმანია), ქარი კი ისეთი ქროდა, რომ შეჯიბრი არატრადიციულად, ორ ცდად გაიმართა.



# პერპეტი პაპლეზი



## ლაზღანდარა მღვდელი

ტყუილი გამოდგა „ბიგ ჯორჯის“ — მძიმეწონოსანი მოკრივე ჯორჯ ფორმენის სიტყვა, ახლა კი ნამდვილად თავს ვანებებ დიდ სპორტსო, 22 ნოემბერს, ატლანტიკ-სიტიში (ნიუ-ჯერზი, აშშ) თმებ-კიკინა შენონ ბრიგსთან უსამართლოდ წაგების შემდეგ რომ აღმოხდა. მოხალისე მღვდელს ეს უკვე მერამდენედ გადაუფიქრია და მავანი ტელე-არხისთვის უთქვამს, 50 წლის რომ მოვიყრები, დღეობა რინგზე უნდა აღვნიშნო. საამისოდ უკვე შევეხმიანე პრომოუტერ დონ კინგს, ვინაც მეტოქედ ან რიდიკ ბოუს დამიგულებს, ანაც მაიკ ტაისონსო.

ფორმენი 1939 წლის 10 იანვარსაა დაბადებული. საიუბილეო შერკინების გამართვას ბაბუ ლას-ვეგასში ფიქრობს. ერთი ეგაა, ტუტუცმა ბოუმ კრივს თავი მიანება, მერე საზღვაო ქვეითადაც ვერ ივარგა და დისა და ცოლის ცემისთვის პოლიციასთან მოუხდა საქმის დაჭერა, ხოლო ტაისონმა ერთ შებმაში ორგზის რომ უკბინა ყურზე ჰოლიფილდს, ლიცენზია ჩამოართვეს.

და მაინც, ფორმენი იმედოვნებს, რომ 1999 წლის იანვარში ან ერთი, ანაც მეორე მწყობრში იქნება, რათა ლაზღანდარა და ხარბ ევანგელისტს გული მოაოხებინოს. „ბიგ ჯორჯს“ უთქვამს, ბრიგსთან წაგება მსაჯთა ნამუსზე რომაა, ხალხს ვეცოდები, ეგაო და ბევრი ხარი დაგვიჩაგრესო.

დღეობაზე მაგრად რომ მცემენ, აი მაშინ კი საბოლოოდ მოვისვენებო, — ანცი ღიმილით განუცხადებია ბაბუს.

ვალერი ჯიქია

## ფრენია მევიდეოე

ჰაერნაოსნობაში მესვეურობისთვის ერთადერთი, ბოლო შანსია დარჩენილი: ვინც საჰაერო ბურთით დედამიწას შემოუფრენს, კაციც ის იქნება.

ბრიტანელი მილიონერი, „ვერჯინ ვიდეოზ“-ის მეპატრონე რიჩარდ ბრენსონი ამ მანიითაა შეპყრობილი, მაგრამ წინა კვირაში ეს უკვე მერამდენედ შეემთხვა მარცხი: მაროკოს ქალაქ მარაქეშში გრიგალი რომ მოვარდა, მისი ბურთი გაიტაცა და ბრენსონის გარსაქვეყნო ნაოსნობის დაწყებაც ამ კვირისთვის გადმოიდო.

მილიონერმა ბრძანა, ბურთი დაბმას ვერ გუობს და სწორადაც მოიქცა, რომ აიწყვიტა; ჩემდათავად შევეხმიანე მაროკოს სამხედრო-საჰაერო ძალებს; ამათ გამანადგურებელი „მირაჟი“ააფრინეს, ბურთს დაედევნენ, ერთი-ორი გასროლით ოდნავ გახვრიტეს და მიწაზე დაშვება აიძულესო.

სხვაფრივ, ბრენსონი ნირწამხდარია, რაკი მთავარი მეტოქის — ამერიკელი სტივ ფოსეტის შიში აქვს. წინა კვირაში ეს დამთხვეულიც უნდა გაფრენილიყო სენტ-ლუისიდან (მისურის შტა-



ტი), მაგრამ მთელს ქვეყანაში მოღრუბლული ცა რომ იყო, სტარტი მანაც ამ კვირისთვის გადმოდო.

თენგიზ არტამონოვი



## მეჯინიბე შეიხი

ბრიტანეთის დოღის სამყარო დაქცევის პირასაა. არაბეთის საამირო დუბაის უფლისწულს, შეიხ მუჰამედ ბენ-რაშიდ ალ-მაკთუმს ალბიონელებისთვის შეუთვლია, მე და ჩემი ძმები ჰამდანი და მაკთუმი ფრიად უკმაყოფილონი ვართ სადოღო საქმის თქვენეული გაძღოლით და თუ ზომებს არ მიიღებთ, ჩვენს ცხენებს კუნძულის იპოდრომებზე ველარ იხილავთო.

ალ-მაკთუმებს მთელს მსოფლიოში წმინდა სისხლის 600 რაში ყავთ გათხოვილი. გაქანებით მათი ბადალი დუნიაზე არავინაა. მათივე მოგონილია საზამთროდ ცხენების არაბეთს წასხმა, რაც ფაქტობრივად მათთვის საწვრთნელი შეკრების მოწყობას ნიშნავს.

შეიხების რისხვა ერთნაირადაა მიმართული ბრიტანეთის საგადასახადო სისტემისა და ბუკმეიკერებისადმი. არაბებს მიაჩნიათ, რომ ორივენი ძარცვავენ ცხენების პატრონებს, მხედრებსა და მეფსონე საზოგადოებას. დოღიდან ამონაგები ფულის ცხენოსნობაშივე მიბრუნებით ბრიტანეთი მსოფლიოში 35-ე ადგილზე ყოფილა, რის გამოც ალ-მაკთუმებს ურჩევნიათ, ჰუნეები მიავლინონ არა დოღის სამშობლოში, არამედ პოლონეთში, საბერძნეთში ან თუნდაც მავრიკეთში.

რეზო ნემსაძე

## მესასუქე დოქტორი

სამხრეთი აფრიკის რაგბის მამას 85 წლის ლუი ლეიტს ნელსონ მანდელას ზანგურმა ხელისუფლებამ ვერაფერი დააკლო: ქაცმა, ვინაც მილიონები საქმიან ბიზნესში [illegible] არჩევნებში დიდი სხვაობით დაამარცხა ოპოზიციის კანდიდატები და „ქურციკეთი“ კვლავაც თეთრებს შეუნარჩუნა საბურთაო ნაკრძალად.

ლეიტი ბოლო ხანს კატარაქტმა შეაწუხა. ორთავ თვალში ლინზა ისე დაებურა, რომ დიდრონ სათვალეებს ხმარობდა. პრეზიდენტზე კიდეც ქილიკობდნენ, მოედნის იქეთა ნაპირზე რა ხდება, ხეირიანად ვერ არჩევსო.

ბარაქალა თანამედროვე მედიცინას. ოფთალმოლოგიის იოჰანესბურგელმა დოქტორმა აივან მარემ მორაგბეთა დოქტორს ადგილობრივი ანესთეზიის თანხლებით კვირის ინტერვალით ორი ბლიც-ოპერაცია გაუკეთა:

ორივ თვალში ულტრაბგერით დაუნამცეცა ბუნებრივი ლინზები, მერე 3-მილიმეტრა ჭრილები გაუკეთა, ნამცეცები ამოუტუმბა და საგანგებო შპრიცით ჩაუდგა ხელოვნური მულტიფოკალური ლინზები, რომლებიც მისივე მოგონილია და თუ სწორადაა შერჩეული, სათვალეს უმალ და ერთიანად გადააგდებინებს პაციენტს. მარეს შვიდი წლის განმავლობაში ლინზის ჩანერგვა 400-ჯერ განუხორციელებია და მსოფლიოში ერთადერთს დაუმსახურებია ამერიკული პატენტი.

ბებერი ლეიტი ჭეელის თვალებით რომ აღჭურვილა, უთქვამს, ჩვენი რაგბის მოშურნეები აწ კი მერიდონო.

ნიკო ვეფხვაძე



# აფროსნობა

## ტაროსს ვერაფერი გაუგეს

| ვიტბრედის გარსაქვეყნო ნაოსნობა ვოლვოს თასზე | | | | |
|---|---|---|---|---|
| III სტადია. ფრიმენტლი — სიდნეი 13 - 22 დეკემბერი (2250 მილი) ვითარება გუშინ, გრინვიჩის დროით 06.00 საათზე | | | | |
| იახტა | დროშა | ქ | სკიპერი | დარჩა |
| ი-ეფ ლენგვიჯ | შვედ | 197 | კეიარდი | 1274.1 |
| სვიდიშ მეჩ | შვედ | 161 | კრანცი | +5.8 |
| ტოშიბა | აშშ | 157 | სტენდბრიჯი | +9 |
| ჩესი რეისინგ | აშშ | 132 | კოლინზი | +11.3 |
| სილკ კატ | ბრიტ | 168 | სმითი | +15.9 |
| ინოვეიშენ კვერნერ | ნორვ | 207 | ფროსტადი | +16 |
| მერიტ კაპ | მონაკო | 158 | დოლტონი | +22 |
| ბრიუნელსანერჯი | ჰოლანდ | 36 | ჰაინერი | +31.3 |
| ი-ეფ ედუკეიშენ | შვედ | 60 | გიუ (ქალი) | +32 |

დიდი ავსტრალიური უბის ომი გახურდა. ლიდერი კიდევ შეიცვალა. მთავარი მოქმედი პირი ჭირვეული ქარია. სკიპერ-ნავიგატორები ერთხმად ჩივიან, თუმც თანამედროვე ტექნოლოგიებს ვიყენებთ, ამინდის წინდაწინ განჭვრეტა მაინც გვიჭირსო.

ორშაბათს მთელი ფლოტი ჩრდილო-აღმოსავლეთის ძლიერ პირქარში მიცურავდა. ზღვა ღელავდა და მეზღვაურებიც მაგრად გაილუმპნენ. „ტოშიბასა“ და „ედუკეიშენს“ გემბნიდან ჯალამბრის თვლები გადაუვარდათ, „სილკ კატს“ კი წყლის გამმტკნარებელი გაუტყდა. იახტები ჩრდილოეთ-სამხრეთის ხაზზე 50 მილად გაიბნენ.

სამშაბათს აღმოსავლეთის ცვალებადმა ქარმა დაუბერა. დენის კონერის „ტოშიბამ“, ბრიტი პოლ სტენდბრიჯი რომ მართავს, გრინვიჩულად 06.00 საათზე „ჩესის“ მეტად, 6,6 მილით გაუსწრო, ანძაშეკეთებული „ინოვეიშენი“ კი სტადიის ლიდერს 38,7 მილით ჩამორჩა და ბოლო ადგილზე იყო.

ქულებით ლიდერთა ამგვარი მარცხი იმით აიხსნება, რომ ჯეელმა სკიპერმა კნუტ ფროსტადმა გარისკა და კურსი ყველაზე სამხრეთით დაიჭირა. საქმე ისაა, რომ მაღალი ატმოსფერული წნევის ფრონტი ფლოტს თანდათან უახლოვდებოდა და ნორვეგიულმა ნავმაც მას პირველმა უგანა. მისგან განსხვავებით „ტოშიბამ“ ჩრდილოეთით გააგრძელა ცურვა და თანდათან შენელდა, რაც გუშინ ცხრილშიც აისახა: ბოლო 24 საათში I სტადიის გამარჯვებულმა „ლენგვიჯმა“ ლიდერს 22,4 მილი მოუგო და მე-6 პოზიციიდან პირველზე აღმოჩნდა.

გუშინ 10-კვანძა ქარი უკვე სამხრეთიდან ქროდა. სტადიის შუაწელი და ბასის სრუტე მოახლოებულიყო. ამერიკელი პოლ კეიარდის ნავი და „მეჩიც“ 120 მილად გაწელილი ფლოტის შუაგულში მიცურავდნენ. „ლენგვიჯს“ ბოლო 12 საათში გეზი რომ არ შეუცვლია, ეკიპაჟმა ხეირიანად გამოიძინა და დროითაც წაიხემსა. ასეა, ასე: დიდ აფროსნობაში სასიცოცხლო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება მეორე პლანზე გადადის ხოლმე.

ფროსტადს გამბედაობამ გაუმართლა და მისმა ნავმაც ლიდერს სხვაობა გვარიანად შეუმცირა. სამაგიეროდ, სამხრეთით გატევამაც ვერ არგო „ბრიუნელსანერჯის“, ვინაც სამშაბათის მე-5 ადგილიდან ისევ ბოლოსწინას მიუბრუნდა და ოდენ დიაცების ნავს უსწრებს.

მიხო ნინუა



„ტოშიბამ“ სვლას თანდათან უკლო და ლიდერობა ქარს გაატანა

ოლ სპორტი ავსტრალიის უბიდან


რაგბის სამყარო ESPN

მსოფლიო რაგბის კვირეული მიმოხილვა

WORLD OF RUGBY

19.12 - 3:00, 18:00; 20.12 - 4:00, 8:30
26.12 - 20:00; 28.12 - 21:30; 30.12 - 12:00
საქართველოს თარიღითა და დროით



მშენებლობა დიზაინი რეკლამა

აკაცია Acacia

ჰორიზონტალური და ვერტიკალური ჟალუზები
დამცავი ჟალუზები
მარკიზები

ფასები გაგაკვირვებთ

ყაზბეგის 42 ტელ 375281 294840

e-mail dato@acacia.postnet.ge



სარბიელი

სპორტული გაზეთი
გამოდის ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით



მთავარი რედაქტორი
ზურაბ ფოცხვერია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზაალ გიგინეიშვილი
ზურაბ მექველია

ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოდუაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, მერაბ მამულაშვილი, ონისე შინჯიკაშვილი

სხვა სახეობათა განყოფილება:
ილია მხეიძე, ავთანდილ სვანიძე, ლევან ჯავახიშვილი

კორესპონდენტი ქუთაისში
იუზა კაციტაძე

კორესპონდენტი ლონდონში
დავით მჭედლიშვილი

ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი
ბადრი კეთილაძე

სტილისტები: მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი

კომპიუტერული ცენტრი:
ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, ლევან ჩხეიძე, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი, გურამ ხელაშვილი

გამომშვები ზურაბ ინაშვილი

დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე



დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი“

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29